სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 24 (12840) | ოთხშაბათი, 29 იანვარი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ზემოთ — მხატვარ ირაკლი თოიძის პლაკატი. ქვემოთ — საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი: მარცხნიდან, პირველ რიგში — ლ. ჩხენკელი (წულუკიძე), პ. ნაცვალაძე (მახარაძე), ა. ძამაშვილი (რუსთავი), ნ. როდომანჩენკო (თბილისი); მეორე რიგში — ა. ბერიძე (ბათუმი), ბ. აგიძბა (ოჩამჩირე), ა. აბგაბგანი (ახალციხე); მესამე რიგში — მ. ბექაური, ქ. ჯაოშვილი (ახალციხე), პ. კვირიკაშვილი (მაიაკოვსკი), გ. წითლიძე (მახარაძე), მ. იაშვილი (გურჯაანი), უმცროსი სერჟანტი მ. ნერბაძე, ტ. ცინცაძე (ქობულეთი).

ფოტო-ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი მედროშე

ღღეს მუშაობას შეუდგება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.

რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან თავიანთ დიდ ფორუმზე ჩამოვიდნენ დელეგატები, რომლებმაც თან მოიტანეს ფაბრიკებისა და ქარხნების, ახალმშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების მშრომელთა პატაკები, სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობაში შეძენილი უდიდესი გამოცდილება, მომავალი მოღვაწეობის მოფიქრებული გეგმები და წინადადებები.

ყრილობა — ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა რესპუბლიკის მშრომელთა და პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში — ემთხვევა იმ დღეებს, რომლებიც ასე სავსეა დიდი მოვლენებით, შრომით, შემოქმედებით. საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით ჩააბარეს შვიდწლედის მეხუთე წლის საპატიო გამოცდა და მთელი ძალით გააჩაღეს შრომა შვიდწლედის მეექვსე წლის ახალი ზღუდეების ასაღებად.

რით მოვედით ყრილობაზე? — აი თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის უპირველესი კითხვა.

მთელი საანგარიშო პერიოდი — 1961 წლის 29 სექტემბრიდან დღემდე განვლილი გზა — ეს არის დიდი აღმშენებლობის, ჩვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოპოვების, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების შესანიშნავი გზა. ამ გზას კი უდიდესი სინათლით მუდამ აშუქებდა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა, რომლის მიღებიდან განვლილი დრო თითქმის მთლიანად ემთხვევა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო პერიოდს.

საქართველოს მშრომელებმა, კომუნისტებმა სკკპ პროგრამა მიიღეს როგორც თავიანთი მშობლიური და ღვიძლი საქმე, როგორც თავიანთი ცხოვრების უდიდესი მიზანი და კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის დროშა. ამაზე მეტყველებენ ის შედეგები, რომლებიც მათ მოიპოვეს საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობიდან დღემდე განვლილ პერიოდში.

რა თქმა უნდა, ეს გზა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის, პარტიული ორგანიზაციებისათვის ვარდებით როდი იყო მოფენილი. რამდენი სიძნელე, დაბრკოლება გვხვდებოდა ამ გზაზე! მაგრამ ამ სიძნელეებთან ბრძოლაში ყალიბდებოდნენ, იზრდებოდნენ ახალი ადამიანები, მტკიცდებოდნენ პარტიული ორგანიზაციები, იბადებოდნენ ახალი და ახალი წარმატებანი.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამადლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მოქმედ საწარმოთა გვერდით მწყობრში ჩადგა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ფართოდ შლის მხრებს „დიდი ქიმია". უკანასკნელ წლებში აღმავლობის გზით მიდის სოფლის მეურნეობა. ვითარდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. დიდი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის, პარტიული ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გასული, 1963 წელი. სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შესრულეს პროდუქციის გამოშვების გეგმები. სასიხარულო მოვლენა იყო რესპუბლიკის დიდი ქიმიური საწარმოს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოება. მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის წარმოების საამქროს კომპლექსი, ამონიუმის სულფატის წარმოების სიმძლავრე, სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი წარმოება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში რუსთაველმა ქიმიკოსებმა, მშენებლებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება დაიმსახურეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის კარგი სტარტია აღებული როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ყოველდღიურად იზრდება დიდი ქიმიისათვის მოლაშქრეთა რიგები.

სულ უფრო ფართოვდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, რომელშიც მონაწილეობს რესპუბლიკის 200 ათასზე მეტი მშრომელი. კომუნისტური შრომის საპატიო წოდებისათვის იბრძვის ასობით ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, მშენებლობა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის საწარმო. შარშან კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება დაიმსახურეს თბილისის კერამიკულმა კომბინატმა, ჩაის საწონმა ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა.

შვიდწლედის უკანასკნელი წლის ზღუდე აღებულია ჩაის ფრონტზეც. ჩვენმა მეჩაიეებმა შარშან მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 186 ათასი ტონა „მწვანე ოქრო", რითაც 16 ათასი ტონით გადააჭარბეს შვიდწლედის უკანასკნელი წლის მიჯნას. საქართველოს მეჩაიეებმა ზედიზედ ორჯერ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება. ასეთივე მაღალი შეფასება დაიმსახურეს მარცვლეულის ფრონტის მებრძოლებმა. სოფლის მშრომელებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაადიდეს ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის, ყურძნის, ხილის, ციტრუსებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

უფრო სისხლსავსე გახდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური ცხოვრებაც. იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა წარმოების კონკრეტულ ამოცანებს. ახალი ადამიანის აღზრდის სამსახურშია იდეოლოგიური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები. ამაღლდა სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების მუშაობის შინაარსი, ფართო გაქანება მიეცა შემოქმედებასა და ინიციატივას.

ყველა ამ წარმატების სათავე კი პარტიულ ხელმძღვანელობაშია. პარტიის XXII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებმა დიდად შეუწყო ხელი ქალაქად და სოფლად პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკვე საკმაო გამოცდილება შეიძინეს წარმოებისადმი, ადამიანთა აღზრდისადმი ხელმძღვანელობაში. ამ მოღვაწეობაში ისინი შემოქმედებითად იყენებენ ჩვენი ქვეყნის სხვა მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებასაც, ფართოდ ეურდნობიან აქტივს, მუშაობაში ნერგავენ საზოგადოებრივ საწყისებს. პარტიულ მოღვაწეობაში ყოველწლიურად სულ უფრო ფართოდ მონაწილეობს ახალი აქტივი. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების 48 პროცენტამდე, ანუ 4.200 კომუნისტი პირველად არის არჩეული.

კარგი გამოცდილება შეიძინეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ შეიქმნა. ახლა რესპუბლიკაში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის 5.900-მდე ხელშემწყობი ჯგუფი და 24 ათასამდე საგუშაგოა.

მოპოვებული წარმატებები, უდავოდ, სასიხარულოა. მაგრამ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები რესპუბლიკის მშრომელთა, თვითეული პარტიული ორგანიზაციის წინაშე უფრო დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს.

სწორედ ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესასრულებლად ბრძოლის კონკრეტულ გეგმას დასახავს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა, რომელიც დღეს იწყებს მუშაობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყებს, რომ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

გაიხსნება დღეს, დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

უპატაკეგენ ყრილოგას

□ თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის კოლექტივმა თვის დავალება 29 იანვრისათვის შეასრულა, კვების მრეწველობას ახალი წლის მარკით მიაწოდა 10 სხვადასხვა დასახელების ძვირფასი მანქანები და ამით პირნათლად გაანაღდა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება.

□ ტყიბული. ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება 160 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ეშელონი ქვანახშირი მისცა.

□ ციალენა. პეტროვსკის მაღაროს კოლექტივმა გუშინ, მეორე ცვლაში იანვრის დავალება შეასრულა და ახლა მარგანეცს თბილისის ანგარიშში იძლევა.

□ ყრილობის გახსნის დღისათვის გეგეჭკორელმა მიცხოველეებმა პირობა სასახელოდ შეასრულეს, სახელმწიფოს მიჰყიდეს ათასი ცენტნერი ხორცი.

ამჟამად რაიონის მშრომელები ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად იბრძვიან. მათ გადაწყვიტეს 10 თებერვლამდე სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.870 ცენტნერი ხორცი.

ლენინის ქალაქის მშრომელებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ლენინგრადის მშრომელებს ღირსშესანიშნავ თარიღს — გმირი ქალაქის კედლებთან ფაშისტთა ურდოების განადგურების 20 წლისთავს.

ვუსურვებთ ლენინგრადელებს, რომელთა უკვდავი გმირობა სამუდამოდ შეეჯა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, დიდ წარმატებებს შრომაში, ჩვენს დიად ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

მარადიული დიდება ლენინგრადის დაცვის გმირებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

1964 წლის 27 იანვარი.

სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი

ყველა კეთილი ნების ადამიანის ერთობლივი მოქმედების შედეგად რამდენადმე შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა, რაც გამოიხატა იმით, რომ დაიდო ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ და მიღწეულია შეთანხმება ატომური იარაღით აღჭურვილი ობიექტების ორბიტაზე გაყვანის აკრძალვის შესახებ.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამჟამად შეიქმნა უფრო ხელშემწყობი პირობები შეთანხმებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ახალ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. თუ ყველა მთავრობა და ხალხი გაერთიანებს ღონისძიებებს მშვიდობის ინტერესებისათვის, მაშინ 1964 წელი შეიძლება მთელი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებისაკენ გადამწყვეტი შემობრუნების წელი გახდეს.

საბჭოთა მთავრობას მთავრობათა მთავარ ამოცანად მიაჩნია ის, რომ უსწრაფესად მიაღწიონ შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ამასთანავე აყენებს წინადადებას შეთანხმდნენ გამალებული შეიარაღების შემცირების, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

1. უცხოეთის ჯარების გაყვანა სხვისი ტერიტორიებიდან

ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა და აქტუალობა ენიჭება საკითხს, რომ სხვის ტერიტორიებზე განლაგებული უცხოეთის ჯარები გაიყვანონ საკუთარი ეროვნული საზღვრების ფარგლებში.

უცხოეთის ჯარების ყოფნა სხვის ტერიტორიებზე საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, ეწამშობს კონფლიქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმეს. მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში მომხდარი უკანასკნელი ამბები მოწმობენ, რომ უცხოეთის ჯარების გაყვანა სხვისი ტერიტორიებიდან სულ უფრო დროული და გადაუდებელი ხდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოეთის ჯარების გაყვანას ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიიდან, სადაც თავმოყრილია ერთი მხრივ ნატოს ქვეყნებისა და მეორე მხრივ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების დიდძალი ჯარები და შეიარაღება.

შეთანხმება უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ არ მიაყენებს ზიანს რომელიმე მხარეს, რადგან იგი არ დაარღვევს არც ერთი დაჯგუფების — ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა ძალების საერთო თანაფარდობას. ნატოს ქვეყნების თვით სამხედრო ხელმძღვანელები, როგორც მათი განცხადებებიდან ჩანს, ახლა ემყარებიან სწორედ იმას, რომ ნატოს ჯარების საერთო რიცხვი არათუ ნაკლებია ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარების რიცხვზე, არამედ მეტიც არის.

საბჭოთა კავშირი სახავს საკითხის გადაჭრის უაღრესად რადიკალურ გზას — უცხოეთის მთელი ჯარები გაიყვანონ ყველა სხვისი ტერიტორიიდან, რომ არსად, მსოფლიოს არც ერთ რაიონში არ დარჩეს არც ერთი უცხოელი ჯარისკაცი. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი მზად არის მთელი თავისი ჯარები გაიყვანოს უცხოეთის სახელმწიფოთა ტერიტორიებიდან, სადაც ახლა ისინი იმყოფებიან, თუ ასევე მოიქცევიან დასავლეთის სახელმწიფოები.

მაგრამ, თუ დასავლეთის სახელმწიფოები ამჟამად ჯერ კიდევ არ არიან მზად ასე რადიკალურად გადაჭრან ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი, საბჭოთა მთავრობა აყენებს წინადადებას დაუყოვნებლივ შეთანხმდნენ, რომ ორმხრივ საფუძველზე ჯერ შეამცირონ უცხოეთის ჯარები სხვის ტერიტორიებზე, ხოლო შემდეგ შესაძლებელი იქნება თანდათანობით, თანამიმდევრობით საქმე ისე წარმართონ, რომ ეს ჯარები მთლიანად გაიყვანონ თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებში. საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს თავისი ჯარების ასეთი შემცირება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, თუ დასავლეთის სახელმწიფოები დაიწყებენ თავიანთი ჯარების შემცირებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში.

ასეთ ღონისძიებათა განხორციელება, უეჭველია, უზრუნველყოფს ვითარების ნორმალიზაციას ევროპაში და ამით ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

2. სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვის შემცირება

საბჭოთა მთავრობა მუდამ მოითხოვდა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შემცირებას, და საბჭოთა კავშირს არაერთხელ მნიშვნელოვნად შეუმცირებია თავისი არმია ცალმხრივი წესითაც კი. ამჟამად შეიქმნა უფრო ხელშემწყობი შესაძლებლობანი, რათა ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი გადაიჭრას ორმხრივ საფუძველზე ისე, რომ არ დაელოდონ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის განხორციელების დაწყებას.

როგორც ეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, საბჭოთა კავშირმა ახლა დაიწყო თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვის შემდგომი შემცირება. საბჭოთა მთავრობა მზად არის შემდგომი ნაბიჯები გადადგას თავისი შეიარაღებული ძალების შემცირების გზაზე, თუ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები მზად იქნებიან გადადგან ასეთივე ნაბიჯები.

3. სამხედრო ბიუჯეტების შემცირება

საბჭოთა მთავრობას, რომელიც ცდილობს, რომ ბოლო მოეღოს სამხედრო ხარჯების შეუნელებელ ზრდას, რაც მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს, არაერთხელ წამოუყენებია წინადადება სამხედრო ბიუჯეტების შემცირების შესახებ. გამოჩენია რა ინიციატიცა ამ საკითხის გადაჭრაში, საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, ამას წინათ განახორციელა ისეთი ღონისძიება, როგორიც არის 1964 წლის სამხედრო ბიუჯეტის ცალმხრივი შემცირება 600 მილიონი მანეთით. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავრობა თავის მხრივ ახორციელებს ღონისძიებებს სამხედრო ხარჯების რამდენადმე შემცირებისათვის. ამრიგად, ახლა არის ხელშემწყობი წანამძღვრები, რომ დადგს შეთანხმება სამხედრო ბიუჯეტების შემდგომი ურთიერთშემცირების შესახებ. საბჭოთა მთავრობა აყენებს წინადადებას, რომ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტები შემცირდეს 10-15 პროცენტით.

4. თავდაუსხმელობის პაქტის დადება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შეთანხმების მიღწევა იმის შესახებ, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დაიდოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებსა და ნატოს მონაწილე სახელმწიფოებს შორის. ასეთი პაქტის დადება ოდნავაც არ დაარღვევს ორი დაჯგუფების ძალთა ამჟამად არსებულ თანაფარდობას და ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობაში შეიტანს სიმყარისა და დამშვიდების ესოდენ საჭირო ელემენტს.

მას შემდეგ განვლილ წლებში, რაც საბჭოთა მთავრობამ პირველად წამოაყენა წინადადება ასეთი პაქტის დადების შესახებ, ამ იდეას მხარი დაუჭირეს ბევრი სახელმწიფოს სახელმწიფოთა და საზოგადო მოღვაწეებმა. დადგა დრო, რომ საქმიანად განვიხილოთ ეს წინადადებანი და მივაღწიოთ საკითხის ურთიერთშესაღებ გადაჭრას. ამისადმი მოგვიწოდებს ვალდებულებანიც, რომლებიც ფიქსირებულია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის 1963 წლის 25 ივლისის ერთობლივ კომუნიკეში. საბჭოთა მთავრობა კვლავ ადასტურებს, რომ მზად არის დადოს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ ნატოს წევრ სახელმწიფოებთან.

რაც შეეხება თავდაუსხმელობის პაქტის ფორმას, ეს საკითხი, საბჭოთა მთავრობის აზრით, შეიძლება გაუძნელებლად გადაიჭრას.

5. უატომო ზონების შექმნა

საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უატომო ზონების შექმნას მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. განვლილ წლებში ამ იდეამ საყოველთაო აღიარება და მოწონება ჰპოვა. წამოყენებულია წინადადებანი, რომ უატომო ზონები შეიქმნას ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის რაიონსა და ბალკანეთში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა რაიონებში.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც მხარს უჭერს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში უატომო ზონების შექმნის გეგმებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ასეთი ზონების შექმნას იმ რაიონებში, სადაც უფრო დიდია ატომური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე და, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალურ ევროპაში.

საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, მზად იქნება იკისროს ვალდებულება დაიცვას უატომო ზონების სტატუსი, სადაც და როცა ეს ზონები შეიქმნება.

6. ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების აღკვეთა

იმის კვალობაზე, თუ როგორ დიდდება ატომური იარაღის მარაგი, უმჯობესდება მისი დამზადების მეთოდები, იქმნება სულ ახალი და ახალი ტიპის ასე-

(დასასრული მე-3 გვ.).

გამალებული შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ

ჩვენი ეროვნების მაღალი ფეფასება

ფოთლებს ურეცხავდა ჟუჟუნა წვიმა, მზე უხვად აფრქვევდა მცხუნვარე სხივებს, ზღვის ნიავი უმღერდა ტკბილ ნანას საქართველოს ჩაის ბუჩქებს, რომლებმაც ასე დაახვავეს „მწვანე ოქრო", ბარაქით ასახელეს ჩვენი ქვეყანა.

ჭეშმარიტად სასიხარული წარმატებაა. 186 ათასზე მეტი ტონა ჩაის ფოთოლი მოიკრიფა შარშან.

დიდება თქვენ, საქართველოს მეჩაიეებო, რომ ამ დიდი გამარჯვებისა თ ვ ი ს ღირსეულად დიმსახურეთ **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოლოცვა.**

შავი ხნულებით დახატულია ჩვენი მინდვრები. ბევრგან კიდევ ასაწმენდია ნაპუერალი და ნასიმინდარი ფართობები. ჭირნახული ბეღლებშია.

შარშან მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღებაშიც არ ჩამორჩენილან საქართველოს მემინდვრეები. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 12 მილიონ 337 ათასი ფუთი მარცვლეული. აქედან ხორბალი 4 მილიონ 336 ათასი ფუთი, 1,3 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

დიდება თქვენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებო, რომ ასე იბრძოდით დოვლათის სუფევისათვის და სამართლიანად გახდით ღირსნი **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოლოცვისა.**

დიდი ქმია ჩვენი შემდგომი წინსვლისა და აყვავების საწინდარია. და როგორ არ გიხაროდეს, ჩვენო მზიურო რესპუბლიკავ, რომ ამ საშვილიშვილო სქმეშიც მოიპოვე ბრწყინვალე წარმატება, ვადამდე ააგე კაპროლაქტამის მძლავრი საწარმო რუსთავში.

დიდება თქვენ, მშენებელო ინჟინერ-ტექნიკოსებო და მუშებო, ჩვენო მეცნიერ მუშაკებო, მოწინავე ქიმიკოსებო, რომ ჩვენს რესპუბლიკას შემატეთ კაპროლაქტამის საუცხოო საწარმო, დროზე გამოუშვით მისი პირველი პროდუქცია. თქვენთან ერთად ვამაყობთ, რომ ამ წარმატებისათვის დაიმსახურეთ **ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოლოცვა.**

დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები"
ნაწილი II

□

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა **„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები"** ნაწილი II (1921-1963 წლები), რომელიც მოიმზადა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა.

წიგნი „ნარკვევების" პირველი ნაწილის გაგრძელებაა, რომელიც 1957 წელს დაიბეჭდა და რომელშიც გაშუქებულია პერიოდი საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისათვის ბრძოლის დაწყებიდან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. იგი პირველი ცდაა იმისა, რომ სისტემატურად ჩამოყალიბდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან — 1921 წლის თებერვლიდან დღემდე. საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი მებრძოლი რაზმის ისტორია ნარკვევებში გაშუქებულია მთელი პარტიის ისტორიასთან მჭიდრო, ერგვევი კავშირით.

ნარკვევებს საფუძვლად უდევს ვ. ი. ლენინის შრომები, სკკპ ყრილობებისა და კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი. მათ შორის უმნიშვნელოვანესია პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი. წიგნში ფართოდ არის გამოყენებული საქართველოს კომპარტიის ყრილობებისა და კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალები და გადაწყვეტილებები, პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დოკუმენტები და მასალები. ნარკვევები დაწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის აღიარებული პერიოდიზაციის შესაბამისად.

„ნარკვევები" მოამზადა ავტორთა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში არიან: **ვ. ნ. მერკვილაძე,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (ხელმძღვანელი); **ა. ვ. აგლაძე,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; **გ. კ. უვანია,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **კ. მ. ივანიძე,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ი. მ. კაპარავა,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ა. ი. კიკვიძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ფ. ნ. ლომაშვილი,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; **გ. ვ. სიხარულიძე,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ნ. ა. ჩახვაშვილი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ს. დ. ჩხარტიშვილი,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ლ. ი. ებანოიძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;



„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" II ნაწილის გამოსვლა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის იდეურ ცხოვრებაში.

ბრძენი შემოქმედი

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ერთი ამბავი მახსენდება...

ბალტიის ზღვის პირას, ისევე როგორც კავკასიონის მთის ძირას, სამი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკაა. ჩვენი არიოყოს, ეს რესპუბლიკებიც პატარანი არიან. ლატვის, ლატვიისა და ესტონეთის ბედი იმოავითვე გეოგრაფიულმა მდებარეობამაც განსაზღვრა. დასავლეთიდან გერმანული ტომების მუდმივმა მოწოლამ ამ ხალხებს ნორმალური განვითარების გზა მოუსპო. როგორც საქართველო და სომხეთი მიიყვანა თურქეთისა და ირანის მუდმივმა შემოსევებმა განადგურებამდე, ისე ბალტიისპირა ხალხები დაასხეტა და შეზღუდა ტევტონთა ურდოების გაუთავებელმა თარეშმა.

და აი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მათაც დიდიხნის ნანატრი თავისუფლება მოუტანა, განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანა და მოძმე ერების თანასწორუფლებიან ოჯახში დაამკვიდრა.

ამას წინათ სწორედ ლატვაში ვიყავი. ლატველი ხალხი თავისი უდიდესი შვილის, ლატვური ლიტერატურის ფუძემდებლის — ქრისტიონას დონელაიტისის დაბადების 250 წლისთავს დღესასწაულობდა. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებმა მოვიყარეთ თავი ლატვის დედაქალაქ ვილნიუსში და მოძმე ერის ზეიმის სიხარული გავინაწილეთ. ეს იყო პატარა ერის კულტურის დიდი დღესასწაული. დონელაიტისი ჩვენი გურამიშვილის თანამედროვე პოეტი იყო. მან შესანიშნავად დახატა ლატველი ხალხის ცხოვრება, მისი დუხჭირი ყოფის ხუროთება. დონელაიტისის პოემის სამყაროდან დღევანდელ ლატვის სინამდვილეში გადმოსული გოცებულნი ვიყავით იმ დიდი გაქანებით, რომლისთვისაც ამ პატარა ერის ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას მიუღწევია ჩვენს დროში.

ლატვის ლიტერატურა დღეს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავეა და ჩვენი ყურადღება მიიქცია როგორც გამოცემული წიგნების სიმრავლემ, ისე ბეჭდვის მაღალმა კულტურამ. ასევე ადგავფრთოვანა ლატვის თეატრების გაცნობამაც. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ყურადღებას იქცევს, მშენებლობის უმაგალითო მასშტაბებია. უკანასკნელ ხანს ვილნიუსში ახალი რაიონები აშენებულა, კეთილმოწყობილი თანამედროვე სახლებით, ეუნებოთა და მოედნებით. ჩვენ ვნახეთ მთლად ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქი ელექტრენე, რომელიც სულ ორი წლის განმავლობაში აუშენებიათ მანამდე უდაბურ ადგილას. ელექტრენე შესანიშნავად დაგეგმილი თანამედროვე ქალაქია, რომელსაც ყველაფერი სანიმუშო აქვს, სკოლაც და თეატრიც, ადმინისტრაციული სახლიც და საცხოვრებელიც. ასეთ ქალაქში ცხოვრება საინტერესო და სასიამოვნო უნდა იყოს. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ლიტველი ამხანაგები თავიანთი ქვეყნის წარსულსაც პატივისცემით ეკიდებიან.

ჩვენ გვაჩვენეს XIV საუკუნის ძეგლი— ლიტვის მთავრის ციხედარბაზი. ეს ციხედარბაზი დანგრეული ყოფილა და ახლახან აღუდგენიათ თავისი პირვანდელი სახით.

უზარმაზარი შენობები, ასაწევი ჯაჭვის ხიდებით შუა საუკუნეების შთაბეჭდილებას ქმნიან და ჩვენს წინაშე აცოცხლებენ ლიტვის ხალხის გმირულ წარსულს, როცა იგი თავს იცავდა ტევტონი რაინდების შემოსევებისაგან.

ყველაფერი ეს ჩემს სამშობლოს მახსენებდა, და გული სიამაყით მევსებოდა, რომ ქვეყნად არის საქართველო, ფუნებით შემკული და ხალხის გმირული შრომით აღორძინებული.

საქართველო ლიტვისაგან შორს არის, მაგრამ იქაც და აქაც განახლების სულით არის ყოველივე აღბეჭდილი. იქაც და აქაც ჰყვავის ეროვნული კულტურა და ადამიანები თავდადებით შრომობენ.

და ჩვენ მცირერიცხოვანება არ გვაშლის ხელს, რომ დიდი ერები ვიყოთ, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ყველა პირობა ეროვნული კულტურის შემდგომი გაფურჩქვნისა და აყვავებისათვის.

ლიტვის მაგალითი საქართველოს კომუნისტების ყრილობამ გამახსენა, რადგან ჩვენში ყველგან კომუნისტური პარტიაა ყოველივე ახლისა და ლამაზის შთამაგონებელი, იგი იბრძვის და აშენებს და ჩვენი ყველა გამარჯვება მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

პატარა ერთა ყოველი გამარჯვების შემოქმედიც მხოლოდ კომუნისტური პარტია, ლენინის დიადი პარტია იყო და არის.

ქართული კულტურის მუშაკებს უდიდესი ვალი გვაქვს დღევანდელი დღის წინაშე. ქართული მწერლობა დასაბამიდანვე მშობელი ხალხის მოკირნახულე იყო, მისი ლხინისა და ჭირის გამომხატველი. და დღეს, როცა ქართველი ხალხი თავის ახალ და დიდ ცხოვრებას ასეთი ენთუზიაზმით აშენებს, ჩვენი მწერლობის ხმაც ვაუკაცურად გაისმის. ჩვენი მწერლობა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მთელ საბჭოთა ლიტერატურაში. ამ სახელის შექმნახა და დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი ქართულმა საბჭოთა პოეზიამ შეასრულა, და ნამდვილად გვახარებს, ქართველი პოეტის სახელი ამაყად რომ ყელერს ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხეში.

ქართული მწერლობის კარგ მიდწევებსა და სახელს შემდგომი განმტკიცება სჭირდება. ჩვენმა მწერლობამ დიდი დატვირთვითა და შთაგონებით უნდა იმუშაოს, რათა იმ მაღალი ამოცანების დონეზე დადგეს, რომლებსაც მის წინაშე დღევანდელობა აყენებს.

ერის სამსახური, მისი წინამძღოლობა იყო ქართული მწერლობის დიდი დამსახურება წარსულში. დღესაც ერისა და ხალხის სამსახური შთაგონებს ქართულ მწერლობას. მას ყველა პირობა აქვს, რომ შექმნას ჩვენი ეპოქის ღირსი ნაწარმოებები, შთამომავლობისათვის უკვდავყოს ჩვენი სახელოვანი ადამიანების საგმირო საქმეები.

ქართულ მწერლობას საამისო უნარიც შესწევს და მოვალეობის შეგნებაც აქვს. ამიტომ ჩვენ გვჯერა, რომ ახალი საქართველოს მწერლობა ნამდვილად ახალ და მნიშვნელოვან წიგნებს შექმნის ჩვენი ხალხის შრომისა და გმირობის სადიდებლად.

გრ. აბაშიძე,
მწერალი, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატი.

მიწა და მეცნიერება

საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში! — ლენინური პარტიის ისტორიული XXII ყრილობის მიერ გადმოსროლილი ეს მოკლე ფორმულა იტევს ზღვრულად შეკუმშულ მთელ ეპოქას. იგი გვახარებს, აღგვაფრთოვანებს ჩვენ, კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს, თავისი დიადი და ნათელი აზრით. პარტიის ამ განცხადებაში საზოგადოების თვითეული წევრი ხედავს ჩვენი ზრდის ტემპების დანიშნულებას. ტემპები კი ჯერ არნახული გაჭანებით აღსავსე უნდა იყოს, ადამიანის გონებრივი და ფიზიკური ძალების მაღალი შეაძლებლობების გამოხატულება უნდა იქნეს. ეს ასეც არის. ახალი ქვეყნის მშენებლობის დიად ისტორიაში, თუ მას გონების თვალს მიმოგვლებთ, ვერ ვიპოვნით ტემპების ისეთ დევგმირულ გაქანებას, ისეთ გრანდიოზულ წინსწრაფვას, როგორისაც არათუ მნახველი, არამედ მონაწილენი ჩვენვე ვართ უკანასკნელი წლების მანძილზე. და ეს ტემპი როდინ რაღაც დაკანონებული, არამედ ის სულ უფრო და უფრო მზარდია, როგორც მთიდან დაქანებული თოვლის გუნდა.

არ შეიძლება სიამაყის გრძნობა არ გვეუფლებოდეს იმის შეგნებისათვის, რომ ჩვენს ამ დიად გაქანებას საფუძვლად უდევს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობილი აღმავლობა სოციალისტური ეკონომიკისა.

მეცნიერება! არსად, არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა იგი ესოდენ ღრმად შეჭრილი ადამიანის ყოველდღიურობაში, ცხოვრებაში, როგორც ეს ჩვენს დღეებშია. მიღწევები მეცნიერებისა, რომელსაც ჩვენ არა მხოლოდ გვებულობთ, არამედ განვიცდით, ჭეშმარიტად ისეთია, რომ ზღაპრად მიუვათ ჩვენს შვილიშვილებს.

კომუნიზმის მშენებლობაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიად ძალას მეცნიერება წარმოადგენს.

ამ ძალას კი მეცნიერებას პარტიის სიბრძნე, პარტიის მშობიერი მზრუნველობა, მისი ხელმძღვანელობა ანიჭებს.

პარტიის მიერ მოხაზული ახალი ზღუდეების აღებაში ჩვენი მიღწევები და სწრაფი წინსვლა ნათლად მოწმობს კომუნისტების კოლექტიური გონებისა და ნების დიად ძალას.

მე აგროქიმიკოსი მეცნიერი ვარ და განსაკუთრებით ვგრძნობ, განსაკუთრებით შეგნებული მაქვს ის ნამდვილი, დიდი რევოლუცია, რასაც პარტია მეცნიერებაზე დაყრდნობით, მეცნიერების გამოყენებით ახლა აღდგენს ჩვენს ყოველდღიურობაში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში. ეს არის რეფორმა, რომელიც ადამიანს ბუნების ძალებზე აბარჯვებინებს.

„ისტორიული დამსახურება ჩვენი ლენინური პარტიისა, — ამბობდა ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, — რომელიც მთელ თავის საქმიანობას აგებს მეცნიერულ საფუძველზე, ის არის, რომ იგი გამოდიოდა და გამოდის მსოფლიოს ასპარეზზე არა მარტო როგორც რევოლუციური პარტია პოლიტიკის დარგში, არამედ როგორც მძლავრი რევოლუციური ძალა წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დარგში".

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ზრუნვას იჩენენ ქიმიის მეცნიერებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმის შემდეგ საგრძნობლად განმტკიცდა მისი მატერიალური ბაზა. ამ წლების განმავლობაში სამნახევარჯერ და მეტად გადიდდა ასიგნებანი ქიმიური მეცნიერებისათვის. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ათეულობით ახალი ქიმიური ინსტიტუტები და მათი ფილიალები. ქიმიის დარგის მეცნიერ მუშაკთა რიცხვი ორნახევარჯერ გადიდდა. საბჭოთა მეცნიერმა-ქიმიკოსებმა ცოტა რამ როდი გააკეთეს ქიმიის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის. შესაბამის დარგობრივ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლების სამეცნიერო ლაბორატორიებში მიღებულია ბევრი ახალი ქიმიური პროდუქტი. შექმნილია და წარმოებაში ინერგება ეფექტური სასუქების, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი. შემუშავებულია ახალი სინთეზური კაუჩუკის მიღების მეთოდები. ეს კაუჩუკები თავიანთ თვისებათა კომპლექსით ნატურალურის თანაბარია, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებლით მასზე უკეთესიც.

ჩვენს რესპუბლიკაში უპირატეს განვითარებას იღებს ქიმიური მრეწველობა; მიხერალური სასუქების წარმოებამ 1964-1965 წლებში უნდა შეადგინოს რამდენიმე ასეათასი ტონა ყოველწლიურად, აბრეშუმის სინთეზური ბოჭკოს წარმოებამ კორდისათვის — ათასობით ტონა და კორდის სინთეზური ქსოვილისამ — რამდენიმე მილიონი კვადრატული მეტრი 1965 წელს. წარმოების დასახული მოცულობის მისაღწევად გათვალისწინებულია დამთავრდეს რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის აშენებლობა.

განუზომელი, მაგრამ მოწმენდილ ცასაეით ნათელია ქართველ მეცნიერთა პერსპექტივები. ვის არ ახსოვს შარშანდელი უამინდობა, მოუსავლიანობის სამწუხარო პირობების სიუხვე. მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა მაინც უმაგალითო მოსავალს მიაღწიეს — 186 ათასი ტონა „მწვანე ოქრო" მიიღეს! მემინდვრეებმაც ბეჯითად იმუშავეს და 12 მილიონ ფუთზე მეტი მარცვალი მიაყიდეს სახელმწიფოს. ეს იყო ადამიანთა არა მარტო ფიზიკური, არამედ, პირველ რიგში, გონებრივი შეჭიდება ბუნების არაკეთილმყოფელ ძალებთან. ამ ძმიმე, ზოგჯერ უთანასწორო ჭიდილში კოლმეურნეს, აგრონომს, სოფლის მეურნეობის მუშაკს გვერდში ედგა, მეგზურად ჰყავდა მეცნიერების მონაპოვრები.

აბა ღრმად დაგუფიქრდეთ ამ ციფრებს: — სასუქების გამოუყენებლად საშუალოდ ჰექტარზე იღებდნენ 500-600 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს. ახლა, სასუქების სისტემატურად გამოყენების შემდეგ, მოსავალი გადიდდა 5.000-6.000 კილოგრამამდე. ცოტა მაგალითი როდი გვაქვს იმისა, რომ აგროქიმიას ღრმად დაუფლებულმა მოწინავე ადამიანებმა ჰექტარზე 10.000 და მეტი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღეს.

ცდებითა და პრაქტიკული მონაცემებით დამტკიცებული გვაქვს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, სასუქების გამოყენებით 2-3-ჯერ და მეტად მატულობს მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ვაზისა და სხვა კულტურულ მცენარეთა მოსავალი.

ლენინური პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით, ხალხის დაუცხრომელი შრომით, მეცნიერების, პირველ რიგში, აგროქიმიის მონაპოვართა დანერგვით გახდა შესაძლებელი მოსავლის სიუხვეზე საუკუნეობრივი ოცნების ასე სასიხარულოდ განხორციელება.

ჩვენი მეცნიერება ხალხისაა, იგი სახელმწიფოს უპირველესი თანაშემწეა.

ქიმიის განვითარება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო პრობლემაა, და ვერაფერი ვერ აღუდგება წინ მის სახელოვნად გადაწყვეტას. დიდ პასუხისმგებლობას მაგრძნობინებს ის, რომ ჩემი ცოდნით და ენერგიით ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი მრნაწილე ვარ როგორც მეცნიერი და აგრეთვე როგორც რექტორი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას მაღალკვალიფიციურ კადრებს უმზადებს.

წილად მხვდა პატივი ვყოფილიყავი აგრეთვე რექტორი უნივერსიტეტისა, რომლის კონტინგენტი... ხალხია. ეს არის „კომუნისტის" ფურცლებზე შემოღებული „სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის" დაუწერეველი უნივერსიტეტი". დიდია ხალხის დაინტერესება ამ დაუსწრებელი სწავლებით. ეს ბუნებრივიც არის; ამის ახსნას იძლევა თვით ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვები: „ქიმიის სასწაულებს უნდა დავაუფლოთ მინდვრის მშრომელები. მეცხოველეობის, მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები. დავაინტერესოთ ისინი, რომ შეისწავლონ ქიმია"...

მართლაც, ვინ არ დაინტერესდება იმ მეცნიერების შესწავლით, რომლის გამოყენებამაც უახლოეს წლებში ჩვენს ხალხს 14-16 მილიარდ ფუთამდე მარცვალი, სახალხო მეურნეობის სხვა მრავალი დოვლათი უნდა მისცეს!..

მიღებულია, რომ ჩვენი ხალხი თავისი პარტიის ყრილობას ზეიმურად ხვდება. თვით ხალხმა შექმნა ეს ტრადიცია. დღეს— საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნის დღეს—ეს საზეიმო განწყობილება იგრძნობა ყველგან, ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებში თუ ფერმებში, ქარხნებში თუ მშენებლობებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში და იქაც კი, სადაც ახლა, დაძაბული შრომის შემდეგ, ჩვენი ბეჯითი სტუდენტი ახალგაზრდობა ზამთრის არდადეგებს ატარებს. ეს ბუნებრივიც არის: — ყრილობა ხომ შეაჯამებს იმ გრანდიოზულ მუშაობის შედეგებს, რომელიც კომუნიზმის მშენებელი თვითეული ადამიანის წვლილია. ეს ყრილობა ხომ დასახავს ასევე გრანდიოზულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტისათვის თვითეულმა ჩვენგანმა თავდადებით უნდა იშრომოს.

ი. სარიშვილი,
პროფესორი, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატი.

უკანტაკეგენ ყრილოგას

კომუნისტური შრომის საწარმომ—თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება პირნათლად გაანაღდა. საერთო პროდუქციის გამოშვების იანვრის დაკალება 28 რიცხვისათვის შესრულა. თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემს 15 ათასი მანეთის მოსაპირკეთებელ ფილებს, სანტექნიკურ მოწყობილობას და მხატვრულ კერამიკულ ჭურჭელს.

პარტიავ, ჩვენო!

ჩემს რესპუბლიკას გაუშლია დეგემირის მხრები,
დგება ყრილობის ტრიბუნაზე ოცდამეორედ!
პარტიავ, ჩვენო,
კვლავ გვიძღოდი უტყუარ გზებით,
სულ წინ გვიძღოდე,
არ გვჩვევია მოცდა მეომრებს.
მომავლისაკენ მივისწრაფვით ლენინურ გზებით,
როგორ ვმაღლდებით,
ძმებთან ერთად როგორ ვიზრდებით!
წინსვლის ახალ გზებს გვისახავენ რწმენით და გზნებით
ჩემი მზიური რესპუბლიკის კომუნისტები.
ცას რომ ეხება, დროშის ტარის ოქროს ქიმია,
ამ დროშით სულ წინ მიიბიჯებს ქართველი ხალხი,
ერთ მწყობრში დგანან დიდი წიგნი, დიდი ქიმია,
ახალი ჰესი, ახალი ზღვა, სახლი და არხი.
უსაზღვრო კოსმოსს მშობლიური თბილისის თავზეც
„აღმოსავლეთთა" ნაკვალევი შემოხლართვია,
ეს შენ ხარ,
დღემდე გაუგონარ ძალღონით გვავსებ,
ალცთა ოცნებებს ფრთებს შენ ასხამ,
ბრძენო პარტიავ!
ეს შენ აქციე ზღაპრულ ბაღად ჩვენი მთა-ბარი,
განა თავისით მზეს ფირუზი ჩამოფანტვია,
ხარ მეგობარი, მეომარი და წინამძღვარი,
შენ გამარჯვება,
შენ დიდება, ჩემო პარტიავ!

თ. ჯანგულაშვილი.

როგორ ვიზარდეთ

სურათებზე: ზემოთ — რუსთაველის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი წარმოება, ქვემოთ — აზოტოვანი სასუქების ქარხნის ხედი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.



ბრძენს შლის დიდი ქმია. შარშან მწყობრში ჩადგა რუსთაველის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის საწარმო, რომელიც უშვებს ძვირფას ნედლეულს ხელოვნური ბოჭკოსა და კორდის მისაღებად.

მდინარე ხრამი უდიდესი ენერგეტიკული რესურსების წყაროა. აქ 1963 წელს დამთავრდა ხრამჰეს-2 მშენებლობა და იგი ჩართეს ამიერკავკასიის ენერგეტიკულ ქსელში.

1963 წლის 28 დეკემბერს მწყობრში ჩადგა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელსადგურის პირველი აგრეგატი. იგი ჩართულია ამიერკავკასიის ენერგეტიკულ ქსელში.

შარშან წლის ბოლოს ხარაჩოები ჩამოხსნეს ახმეტის ჰიდროელექტროსადგურის ქარხანას. ეს წარმოება თავისი სიმძლავრით და პროდუქციის სახეობით ამ ტიპის ქარხნებს შორის ერთ-ერთი უდიდესია საბჭოთა კავშირში.

ჟუთაისელმა მშენებლებმა და მონტაჟიორებმა 1963 წელს კარგი საჩუქრები მოუძღვნეს მშრომელებს — დაამთავრეს სახლთსამშენებლო კომბინატის ძირითადი საწარმოო კორპუსის, საამქროების, უბნებისა და განყოფილებების, საქვაბე კორპუსის, სასაწყობო მეურნეობის მშენებლობა და მანქანადანადგარების საწარმოო გამოცდა. კომბინატი ყოველწლიურად გამოუშვებს იმდენ მზა კონსტრუქციებს, რამდენითაც ოცდაშვიდი 48-ბინიანი მრავალსართულიანი სახლი აშენდება.

ბიათურაში მწყობრში ჩადგა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტები — მერეკისა და ზედა რგანის ახალი მაღაროები. ეს მაღაროები ახალი წლიდან ქვეყანას აძლევენ მაღალხარისხოვან მარგანეცს.

შარშან მწყობრში ჩადგა შვიდწლედის ერთი გოლიათი — ორკონიკიძეთბილისის გაზსადენი. ახლა ბუნებრივი გაზით საიმედოდ არის უზრუნველყოფილი თბილისის მრეწველობა და მოსახლეობა.

დამთავრდა ხაონის წყალსაცავის მშენებლობა. აქ აშენდა 72 მეტრი სიმაღლის კაშხალი, რომელმაც გზა გადაუღობა მდინარე იორს და შეიქმნა უდიდესი ზღვა, საიდანაც სამგორის მიწები საჭიროების მიხედვით მიიღებენ მაცოცხლებელ ნექტარს.

მაამულზე ფიქრით

ყრილობას მიესალმებიან

კატაკი ტრაულერ „ოთო რუსთაველიდან"

საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმს გულითადად მიესალმებით საოკეანო თევზჭერის საქართველოს სამმართველოს ტრაულერ „ოთო რუსთაველის" ეკიპაჟის მთელი შემადგენლობა.

ჯერ წელიწადიც არ არის გასული წყალში მისი ჩაშვების მომენტიდან, მაგრამ ამ მოკლე დროშიც მან ორგზის ჩაატარა შორეული რეისები. გასული წლის გეგმით უნდა დაგეჭირა 15.500 ცენტნერი თევზი, ფაქტიურად პირველ რეისზევე, რომელიც სამხრეთ ატლანტიკის სანაპიროებთან მოეწყო, დაჭერილ იქნა 17.500 ცენტნერი. მეორე რეისი ჩატარდა ინდოეთის ოკეანეში. იგი ითვალისწინებდა ექსპერიმენტულ-საცდელ ჭერას. მიუხედავად ამისა, აქ დაჭერილ იქნა 300 ტონაზე მეტი თევზი და მიღებულია 50 ტონა თევზის ფქვილი. ორივე რეისი რენტაბელური გამოდგა და სახელმწიფომ დიდი მოგება მიიღო. ეს შრომითი გამარჯვებები მივუძღვენით საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას.

ჩვენი მესამე რეისი ემთხვევა ყრილობის მუშაობის დაწყებას. ვლავ მივდიოართ პირველნაღები მარშრუტით სამხრეთ ატლანტიკის სანაპიროებისაკენ, სადაც დავყოფთ 5 თევზს მეტს. წლიური გეგმით უნდა დავიჭიროთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 44 ათასი ცენტნერი თევზი, რაც სამმართველოს მთლიანი გეგმის ნახევარზე მეტს შეადგენს. ყრილობის აღსანიშნავად ჩვენმა ეკიპაჟმა აიღო ვალდებულება დაიჭიროს 50 ათასი ცენტნერი და მოიპოვოს კომუნისტური შრომის კოლექტივის სამპატიო წოდება.

ყოველმხრივ მზად ვართ რეისზე გასვლისათვის. ტრაულერს გაუკეთდა მცირეხნიანი პროფილაქტიკა, მომარაგებული გვაქვს ყველა საჭირო იარაღ-მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები, სეორსათ-სანორვეგე. ეკიპაჟის მთელი შემადგენლობა, რომლის 30 პროცენტი წინა რეისების მონაწილეა, საუცხოოდ გრძნობს თავს და პირობას დებს ენერგიულად იბრძოლოს სამშობლოს წინაშე დადებული პირობის სასახელოდ განაღდებისათვის.

მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

ტრაულერ „ოთო რუსთაველის" ეკიპაჟის დავალებით: **გ. სვანიძე** — კაპიტან-დირექტორი, **ა. ანთაძე** — კაპიტან-დირექტორის პირველი თანაშემწე, **ჯ. ჯოჯუა** — უფროსი შტურმანი, **ო. ნადარეიშვილი** — თევზჭერის უფროსი ოსტატი, **ო. გვასალია, გ. აბასაძე** — უფროსი მოტორისტები, **ვ. დოლდუა, ი. ჩიკუნოვი** — თევზჭერის ოსტატები, **გ. დათუნაშვილი** — მატროსი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურცლეგი მუშის დღიურიდან

კომუნისტის გული...

1964 წ. 28 იანვარი. დღეს „კომუნისტის“ კორესპონდენტი მოვიდა ჩემთან. ღიმილით მითხრა:— გაზეთში თქვენი დღიურები უნდა დაბეჭდოთო, მე გამიკვირდა. მესმის მწერლის, მსახიობის დღიურების გამოქვეყნება. ჩემი ჩანაწერები ვის რაში აინტერესებს-მეთქი. მაგრამ ჟურნალისტებთან უარი გაგიგია? დამიყოლია...

...ჩემი დღიურები ჩემი მეორე მეხსიერებაა. დღეები მიჰქრიან, მაგრამ უკვალოდ არ ქრებიან. ისინი ჩვენთან რჩებიან... ქეჩაში რომ მივაბიჯებ და ვხედავ—მოქალაქეებს ქართული ქსოვილის „კოლხიდის“ კოსტიუმი აცვიათ, ან მაღაზიის ნეონის შუქით განთებულ ვიტრინებში როცა ვხედავ საქონელს მარკით „საბჭოთა საქართველო“, ბავშვივით მიხარია. ეს ჩვენი მარკაა, ეს ჩვენ ალბელილ დღეთა ძეგლია. დღეები მიჰქრიან... გვიტოვებენ ქაღალდს თმაში, გამარჯვების სიხარულს, წარუმატებლობის ტკივილს. ჩვენ ამ დღეებისაგან, მერინოსის მატყლისაგან, ჩვენი კუნთების ენერგიისაგან ვქსოვთ ქართული მაუდის ნაწარმს... ჩვენ — ეს ერთი ბრიგადა ვართ, კომუნისტური შრომის ბრიგადა, 11 ქსოველი და ერთი ქვეოსტატი... 22 დაზგა — აი ჩვენი იარაღი...

1963 წლის 2 მარტი. ჩემმა ვაჟიშვილმა გივამ და მიშამ (პირველი მეშვიდე კლასში სწავლობს, მეორე მეცხრეში) საოჯახო „თბილისის“ ნომერი მომირბენინეს საამქროში.

ნახე, მამა, აქ შენზე წერიაო. ჩემი ბრიგადის ქსოველებმა ირა წიკლაურმა და ანა ყუალა ბარათაშვილმა ხმამაღლა წაიკითხეს პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით დაწერილი სტრიქონებს „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროში“ „ლ. ჯანანაშვილის ინიციატივა — რესპუბლიკის ყველა საწარმოსა და მშენებლობაზე“.

„ნარჩენების ხარჯზე — მეტი პროდუქცია“ — ანშლაგს უკეთებდა გაზეთი.

— გავიმარჯვეთ! — იძახოდნენ ბრიგადის წევრები. ერთმანეთს კოცნიდნენ...

1963 წლის 3 მარტი... ჟურნალისტებმა თერიში მოიტანეს. მოდიან რადიოს, ტელევიზიის, გაზეთების რედაქციებიდან. ბრიგადის წევრებმა კაი კიხომსახიობებივით დაიწყეს ფოტოკამერების წინ გამოჩენა. ისეთი რა გავაკეთეთ ნეტავი, რომ ასეთი ხმაური ატყდა... ვთქვით დავზოგოთ ნედლეული, დანაზოგით გამოვუშვათ ახალი ზეგეგმითი პროდუქცია, მორჩა და გათავდა. თითქოს არაფერი შმახდარა, გმირებად კი გამოგვაცხადეს. ერთმა ჟურნალისტმა მკითხა:

— ამხანაგო ლევან, გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი კომუნისტური შრომის ბრიგადის მიერ წაბოწყებული ძვირფასი ინიციატივის ბიოგრაფია...

— ბიოგრაფია? — გამიკვირდა მე.

— დიახ; თქვენი ინიციატივა ცოცხალია, ხოლო ყოველივე ცოცხალს თავისი ბიოგრაფია აქვს...

მგონი ძართალი აქვს თავისი „ბიოგრაფია“ ჩვენს ინიციატივას. ეს იყო...

1962 წლის 21 მარტი... მარტი საერთოდ ბედნიერი თვეა ჩვენი ბრიგადის ცხოვრებაში. გასული წლის 21 მარტს ჩვენ მოგვანიჭეს კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება. დღეს წლისთავია... მთელი წელიწადია ვფიქრობ სიურპრიზზე, რომელიც უნდა მოვუწყოთ სხვა ბრიგადებს... წლისთავი ბოლოს და ბოლოს ძარტო შამპანურის შეფეფებით ხომ არ უნდა აღვნიშნოთ. საქმე უპირველეს ყოვლისა, საქმე... ჩვენს ინიციატივას შეიძლება ფრთები შეესხას. პირველად ეს აზრი დამებადა...

1961 წლის 9 დეკემბერი... დღეს საქარხნო კომიტეტში ჩემი ბრიგადის წინადადებას განიხილავდნენ. ათი კაცი ვიყავით, მგონი ოცი კოლოფი „ყაზბეგი“ მოვწიეთ... თავი მტკიოდა ცალკე თამბაქოს ბოლისაგან, ცალკე კიდევ იხტიბარგაუტეხელ მოწინააღმდეგეთა კამათისაგან. წარმოების უფროსმა გ. ა-ძემ შუბები აძგერა ჩემს წინადადებას.

— ღია კარს ნუ ამტვრევთ. ეს არ არის ამერიკის აღმოჩენა. იღრეც გვქონდა ასეთი მოძრაობა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მუშა ნარჩენებს გადააგდებს, თავსატეხს რათ გაიჩენს, ყველა მუშის შეგნება ჯერ იმ დონემდე არ ასულაო...

...როგორ არა რცხვენია. კომუნისტი ჰქვია, მუშებს კი შეურაცხყოფას აყენებს.

ვნახოთ, პარტიულ კომიტეტში უნდა მოვისაუბროო. ციფრების, ფაქტების ჯიუტი ენით უნდა დავუმტკიცო ყველას, რომ...

1961 წლის 29 დეკემბერი... ღღეს ისევ იქვის თეალით ამხედ-დამხედა საწყობის გამგე ქალიშვილმა. მას ყოველ საღამოს ვაბარებ ნახვეწს.

— აფთიაქის სასწორი ხომ არ მოგიტანოთ, ძია ლევან, — წამოსცდა საყვედური ქალაშვილს, — ისე მისხალ-მისხალ რომ წონით ნედლეულის ნარჩენს.

მე კინაღამ გავამხილე ჩემი განზრახვა, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე... გვიან გაიგებს და ყველაფერს მიხვდება. მერინოსის მატყლს ყაირათიანად მოხმარება უნდა. მწყემსის ხელიდან გამოსული მატყლი სახამ ფეიერის ხელში „კოლხიდად“ იქცეოდეს, რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს გაივლის. თუ ყველა რგოლი მოწახავე მეთოდით იმუშავებს, უთუოდ დავზოგავთ ნედლეულს. მაგრამ რამდენს? აქ საჭიროა საწარმოს არითმეტიკა. მხოლოდ ციფრები, ციფრები!.. 1 მეტრი „კოლხიდის“ მოქსოვისას რჩება 8,5 გრამი ნარჩენი, 10 მეტრზე ნორმით დამზეულია 85 გრამი ნახვეწი, 11 მუშას 22 დაზგაზე ღღეში რჩება 835 გრამი ნახვეწი? ნახვეწი რომ შემცირდეს მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენების საფუძველზე, მივიღებთ ეკონომიას. აი სად არის გამოუვლინებელი რეზერვები! ერთ დაზგაზე, რომელიც „კოლხიდას“ ქსოვს, დაიზოგება 1 კგ. ნახვეწი. ეს 4 კგ „კოლხიდაა“ მისაქსელს ჩათვლით. ეს 200 მანეთი ეკონომიაა. ერთ თვეში 22 დაზგა 1000 მანეთზე მეტ მოგებას იძლევა. 50 პროცენტით შეგვიძლია შევამციროთ მერინოსის ჯაფუნის ნედლეულის ნარჩენები.

— ეურიკა!

ეს მართლაც აღმოჩენაა!..

1961 წლის 25 თებერვალი. პარტიულ კომიტეტში მოვითათბირეთ. აქ არიან ჩემი კომუნისტური ბრიგადის წევრებიც. ჩვენი ინიციატივა ბავშვური ეკონომიური რომანტიზმი კი არ არის, არამედ ციფრებისა და ფაქტების ენით დასაბუთებული საქმიანი წინადადებაა. ჩვენი ინიციატივა ცნეს. 27 ბრიგადამ გადაიღო ჩვენი მაგალითი კომბინატში. თუ ეროს შეუძლია, ყველამ უნდა შეძლოს. გავიმარჯვეთ, გვიხარია.

1961 წლის 21 მარტი... საამქროში მოვიდნენ კომბინატის ხელმძღვანელები. ლამაზი და საზეიმო სიტყვები ითქვა... ჩვენს ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება.

— ეს მხოლოდ დასაწყისია, — ვთქვი მე, — წინ საგმირო საქმეები გველის... ძალიან ხმამაღლა ნათქვამი ფრაზა გამომივიდა, — გავიფიქრე და დავიბენი, მეტი ვერაფერი ვერ ვთქვი. სახელდახელო ტრიბუნიდან ჩამოვედი.

1961 წლის 18 მარტი.. ღღეს ფოტორეპორტიორი და ჟურნალისტი გვეწვივნენ. ბრიგადის წევრები უმაღლესში თუ სწავლობენო, ბეთოვენის მუსიკაში თუ ერკვევიანო, ან აინშტეინის ფარდობითობის თეორია თუ ესმითო... ვერ გამიგია, მუშები ვართ თუ აკადემიკოსები. ისინი კიდევ იდიმებიან:

— ცხოვრება მოითხოვს, ამხანაგო ლევან, ცხოვრება ზღვარს შლის ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის...

იქნებ მართალნი არიან. მუშამ უნდა აიმაღლოს თავისი ჰორიზონტი, ინტიხერს უნდა დაეწოს...

1963 წლის 12 აპრილი. ღღეს კინოში წავედით მთელი ბრიგადით. გუშინ თბილისს ზღვის პირას გავაშენეთ ხეივანი. მერე ერთად ვიკახმეთ. სახსოვრად სურათებიც გადავიღეთ. ერთ კოლექტივად შეიკრა ჩვენი ბრიგადა. ჭირს და ლხინს ერთმანეთს ვუზიარებთ. კ. პანტელეევას გაუჭირდა მაკოს შეცვლა და მისაქსელის გადაბმის დაჩქარება... ა. ასტაპკინამ მას (ფეიერად არის დაბადებული) დახმარების ხელი გაუწოდა. ინტერნაციონალური ოჯახია ჩვენი ბრიგადა. ერთად, ღვინილი დებავით არიან მარია ეფემოვა, მაყვალა ბარათაშვილი, როზა მარტიროსიანი... აბა რომელი ერთი დავასახელო... ღღეს გამოვაკრით აბრა „მქსოველი ის კი არ არის, ვინც ქსოვს, არამედ ის, ვინც უწუნოდ მუშაობს“. ყველას მოეწონა ეს სიტყვები.

1963 წლის 23 დეკემბერი... ღღეს პარტიაში შევიდა ჩვენი ქარხნის ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი. ჩემი სიკაბუკე გამახსენდა. 1947 წელს გული არ მითმენდა 20 წლის შესრულებამდე 2 თვით ადრე შევიტანე განცხადება, პარტიაში მიმიღეთ-მეთქი. უარი მითხრეს, წესდება წესდებაოო. გავიდა ორი თვე. თითქოს მეორედ დავიბადე იმ ღღეს, პარტიის წევრობის წიგნაკი რომ ჩაბაბარეს... ეს იყო 1947 წელს. თითქოს გუშინ იყო ...რა მალე გარბიან წლები...

1963 წლის 8 ოქტომბერი. მთავრობის სახლი... რესპუბლიკის პროფკავშირების ყრილობა. დიდგენილებაში ჩაწერეს: „ამას წინათ რესპუბლიკაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ლევან ჯანანაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წამოწყებამ. ბრიგადამ ვალდებულება აიღო 50 პროცენტით შეემცირებინა გეგმითი ნარჩენები და ამ ეკონომიის ხარჯზე უკვე გამოუშვა 886 მეტრი ქსოვილი“.

1963 წლის 3 ივლისი. ღღეს გამოცხადდა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნის ღღე. ბრიგადა ღღესვე შეიკრიბა. გითათბირეთ. „ვდგავარ“ წინასაყრილობო ვახტზე. ასე იყო ყოველთვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების შესახვედრად ვახტზე დავდექით ცნობის მიღებისთანავე. ეს ჩვენი ბრიგადის ტრადიციაა—ყრილობის, პლენუმის, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენისათვის მზადების პირველსავე ღღეს ჩვენ შრომითს ვახტზე ვდგავართ. „ნუ გადადებ ხვალისათვის იმას, რისი გაკეთებაც ღღეს შეიძლება“. ეს ჩვენი საბრძოლო დევიზია. ამ შემართებით ჩემმა ბრიგადამ წინასაყრილობო ვახტზე მოიპოვა ახალი გამარჯვებანი. ჩვენმა ბრიგადამ დაზოგა 620 კგ ნედლეული, რაც 1.020 მეტრი საუკეთესო ქსოვილია. მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენს ბრიგადაში ყალიბდება კომუნისტური ხასიათი, თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ტიპი.

1964 წლის 28 იანვარი... უკვე, ღამის პირველი საათია. ხვალ ადრე უნდა ავდგე. ხვალ, თუმცა რატომ ხვალ, ღღეს უკვე 29 იანვარია. იხსნება ყრილობა. მე პირველად მივდივარ ყრილობაზე როგორც დელეგატი, ვფიქრობ ხვალინდელ ღღეზე...

ლევან ჯანანაშვილი,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მქსოველთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატი.

პარტია მზეა

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას

ლენინელებო, გმირნო, ვაჟკაცნო,
ჩემი სამშობლოს ხალხთ წინამძღოლო,
მინდა ამ სიტყვებს გულწრფელ
ვაშასთან
სიმღერის ცეცხლი ამოვაყოლო.

მინდა სიხარულს წინსვლის, განგაშის,
თქვენი მარჯვენის ძალთა მოკრებას
ვუმღერო, რათა პოეტის ხმაშიც
ჩანდეს ცხოვრების ამობოქრება.

მინდა ქართველი მგოსნის კალამიც
მიწას შვენოდეს სახნის-ხაკვეთად,
რომ ლექი ფრთებით დაუღალავით
მგავდეს კოსმოსში გაჭრილ რაკეტას.

მინდა ფერები ჩვენს მზიან დღეთა,
კაცმა რომ გულში ვერ ჩაატია,
რითმის ჩქერებით შეეკონო ერთად
და მალალი ხმით ვუძღვნა პარტიას.

ჩვენს დიდ პარტიას,
რომლის გზას დიადს
ბრძოლა, შრომა და გმირობა ჰქვია,
ვინც აგვაშორა მონობის წყვდიადს,
ვისი დროშებიც მზის ირგვლივ ჭრიან.

ვინც ჩვენზე მოსულ მტერს და მუხანათს
მახვილი თავზე გადაამტვრია,
არ შედრკა, ქედი არ მოუხარა
და წინ გაუძღვა ხალხებს პარტია.

პარტია მე ვარ,
პარტია შენ ხარ,
ის არის,
ჩვენ ვართ ყველა ერთიანს;
მტერს ვატყდებოდით მიტომაც მეხად
და ბევრჯერ მკერდით გაგვეკვეთია.

მიტომ ვერ გვძლია ფაშიზმის რისხვამ
და ვერ ჩამოწვა ზვავი ტყე-ველზე,
რომ ჩვენი სისხლის თვითეულ მისხალს
ვდვენოდით სამშობლოს
საკურთხეველზე.

ჩვენს დამარცხებას დიდხანს ელოდნენ,
და მიზანს ჩვენსას ახლაც ებრძვიან...
მაგრამ გვიყვარდეს, გვწამდეს,
გვჯეროდეს,
რაც ლენინს ჩვენთვის უანდერძია.

ის ფოლადია გულების ჩვენის
და ფიქრთა ტკბილთა ანდამატია;
მის დროშებს დილის ცისკარი შვენის,
მალლა რომ მიაქვს ჩვენს დიდ პარტიას.

პარტია მზეა ნაღვერდლით სავსე,
დაუფარავი ნისლით და ღრუბლით,
მზე — გადმომდგარი მყინვარის თავზე,
როგორც ლენინის ნათელი შუბლი.

პარტია — ახალ აზრთა ნათელი
და ძველი სიბრძნის მკვდრეთით
აღდგომა;
გადაუარა ყველა მატერიას
და ცას გაეკრა ირმის ნახტომად.

პარტია — ვარსკვლავთ გზებზე ნაგეში,
მის ფრთებს რომ სრბოლა არა
სწყინდება;
ხარაჩოებით ნაქსოვ ბადეში
სასახლეების გამობრწყინება.

პარტია — ჩვენი ქარხნები მძლავრი
ველზე გაშლილი ახალ უბნებად,
საკვამურების ატყორცნილ ჯარით
ცას რომ გუგუნით ესაუბრება.

პარტია — მწვანედ გაშლა მთა-ველის,
უდაბნოები ბაღად შეცვლილი,
ცა დასერილი თვითმფრინავებით
და ელმავლების გზა დაკეცილი.

პარტია — ხევში ჩანჩქერთა მღერა,
მაისით შეცვლა ზამთრის ტაროსი,
კორდებზე ჩაის ბუჩქებით წერა,
როგორც ფურცლები
„ვეფხისტყაოსნის“...

პარტია მე ვარ,
პარტია შენ ხარ,
ის არის,
ჩვენ ვართ ხალხი — პარტია!
მაღალ კლდეებთან ქარიშხლის შეხლა
და ძალა მეხთა
არის პარტია!

ანდრო თევზაძე.

როგორ ვიზარდეთ

შრომა და შედეგები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიქმნა სოფლის მეურნეობის მართვის მწყობრი სისტემა საწარმოო სამმართველოების სახით, რამაც დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების საქმეში.

საქართველოს კპ XXI-დან XXII ყრილობამდე დიდ წარმატებას მიაღწიეს რესპუბლიკის მინდვრის მშრომელებმა, მეჩაიეებმა, მევენახეებმა, მეხილეებმა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის 1963 წლის გეგმა, სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 12 მილიონ 337 ათასი ფუთი მარცვალი, მათ შორის ხორბალი 4 მილიონ 336 ათასი ფუთი, ანუ 1,3 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მარცვლეულის შესყიდვაში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სიღნაღისა და გორის, აგრეთვე გარდაბნის, ხაშურის, დუშეთის, თეთრი წყაროს, ახალქალაქის, ახალციხის საწარმოო სამმართველოებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

1962 წელს დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მეჩაიეებმა, მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 170,5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, იმაზე მეტი, რაც შვიდწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. მეჩაიეებმა უფრო დიდ წარმატებას მიაღწიეს გასულ წელს, მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 186 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“, ანუ 79 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს, და წლიურ გეგმაზე 23 ათასი ტონით მეტი. 16 ათასი ტონით გადაჭარბებულია მიჯნა, რომელიც შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით დასახული იყო 1965 წლისათვის. წარმატებას მიაღწიეს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ, მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს საწარმოო სამმართველოთა მეჩაიეებმა.

გასულ წელს პირველად დაიწყო ჩაის მასობრივი კრეფა მანქანებით, ჩაის პლანტაციებში მუშაობდა 100-ზე მეტი ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო“.

* * *

ეს სურათი გადაღებულია გასული წლის ივნისში. ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანა „საქართველოს“ საჭის მართავს რესპუბლიკაში პირველი მექანიზატორი ქალიშვილი ინგირელი ლოლა არღვლიანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ასსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი

გამაღლებული შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

თი იარაღი, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების აღკვეთის საკითხს. იმ სახელმწიფოთა წრის გაფართოება, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, ბევრად გაადიდებდა თერმოატომური ომის წარმოშობის საფრთხეს. ამავე დროს ატომურ სახელმწიფოთა რიცხვის ასეთი გაფართოება სერიოზულად გაართულებდა განიარაღების პრობლემის გადაჭრასაც.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ ამჟამად საფრთხეს, რომელიც კაცობრიობას ემუქრება ატომური იარაღის შემდგომ გავრცელებასთან დაკავშირებით, სულ უფრო ფართოდ გრძნობენ მსოფლიოში. ყველა სახელმწიფოს მოვალეობაა ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ აღკვეთონ ეს საფრთხე, სანამ გვიან არ არის.

მშვიდობის ინტერესების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დავახშოთ ყველა გზა — არა მარტო პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი გზებიც, რომლებითაც ატომური იარაღი შეიძლება ხელთ იგდონ იმათ, ვინც ამ საუკუნეში ორჯერ გაიჩაღა მსოფლიო ომის ხანძარი და ახლა აქტიურად ცდილობს მოიპოვოს ატომური იარაღი.

იმისათვის, რომ აღიკვეთოს ატომური იარაღის გავრცელების ყველა შესაძლებლობა, საბჭოთა მთავრობის წინადადებაა შეთანხმება ამ საკითხზე, იმასთან ერთად, რომ აიკრძალოს ამ იარაღის და მისი დამზადების ინფორმაციის პირდაპირი გადაცემა ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის, ითვალისწინებდეს აგრეთვე დებულებებსაც, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ატომური იარაღის ასეთი გადაცემა ან მისი ხელში ჩაგდება არ მოხდება არაპირდაპირი გზით, სამხედრო ბლოკების საშუალებით, მაგალითად, ეგრეთწოდებული ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების საშუალებით.

7. უეცარი თავდასხმის აღკვეთის ღონისძიებანი

საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა და მოითხოვს განხორციელდეს ქმედითი და ეფექტიანი ღონისძიებანი უეცარი თავდასხმის აღსაკვეთად. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა ამ მიზნით წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას საშეთვალყურეო საგუშაგოების ქსელი იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებიც ეკუთვნიან სახელმწიფოთა ორ მოპირდაპირე დაჯგუფებას, ამასთან განხორციელდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ისეთი გარკვეული ღონისძიებანი, როგორიც არის უცხოეთის ჯარების შემცირება ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და ვალდებულება არ განლაგონ ატომური იარაღი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და შეიარაღების შეზღუდვის ამ კონკრეტულ ღონისძიებებთან დაუკავშირებლად სამეთვალყურეო საგუშაგოების განლაგება ვერ უზრუნველყოფდა სასურველი მიზნის მიღწევას, სახელმწიფოთა შორის ნდობის ზრდას და ამით ომის საფრთხის შემცირებას. პირიქით, ამას შეუძლია კიდევაც გაადიდოს ურთიერთფხიზლობა და გაამწვავოს საერთაშორისო ურთიერთობა.

სამეთვალყურეო საგუშაგოების სისტემის შექმნა შეიძლება სასარგებლო იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ამასთანავე განხორციელდება ომის საფრთხის შენელების კონკრეტული ღონისძიებანი. პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ რეალურად შენელდეს ევროპაში საომარი კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა, და სამეთვალყურეო საგუშაგოები ამ შემთხვევაში იმ ერთიანი პროცესის ორი ერთმანეთის შემსებელი მხარე იქნება, რომ შენელდეს დაძაბულობა, საშიშ რაიონებში, სადაც პირისპირ დგანან მოწინააღმდეგე დაჯგუფებათა შეიარაღებული ძალები.

8. გომგდამშენი ავიაციის მოსპობა

ბომბდამშენი ავიაცია თუმცა მოძველებულია, მაგრამ ჯერჯერობით შეტევითი ომის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, რომელსაც იყენებენ იმისათვის, რომ თავიანთი ბაზებიდან მრავალ ათას კილომეტრზე მიიტანონ ატომური იარაღი, მასირებული დარტყმები მიაყენონ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებს. ამ სახეობის შეიარაღების მოსპობა ხელს შეუწყობდა ომის საფრთხის შემცირებას და ყველა ხალხის უშიშროების განმტკიცებას. საბჭოთა მთავრობა მზად არის განიხილოს ეს საკითხი.

9. ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვა

საბჭოთა მთავრობა კვლავ აცხადებს, რომ მზად არის მორიგდეს, რათა შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ გავრცელდეს ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდაზეც. ცხოვრებამ საეჭვოდ დაადასტურა, რომ ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის, ისევე როგორც ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ გამოცდის, აღმოჩენისათვის საჭირო არ არის სპეციალური საერთაშორისო კონტროლის დაწესება.

* * *

საბჭოთა მთავრობა, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობს იმით, რომ შეთანხმებათა დადების დროს, რომლებიც გაითვალისწინებენ ფაქტიური განიარაღების ღონისძიებებს, მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლის შესაბამისი ურთიერთმისაღები ფორმების შესახებ.

ამ მემორანდუმში ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელებას, საბჭოთა მთავრობის აზრით, მოჰყვებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი მნიშვნელოვანი შენელება, ეს იქნებოდა სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი მთავარი ამოცანის — საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანის გადაწყვეტის გზაზე.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სარწყავი, გასაწყლიერებელი და საშრობი სისტემების კაპიტალური მშენებლობის გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულა. კაპიტალური დაბანდების გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 105,3 პროცენტით.

იმ სამახსოვრო დღის ფეიდეგ...

ადამიანის ცხოვრებაში თვეები, დღეები და საათები კი არა, არის წუთებიც, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. და რა დამავიწყებს 1961 წლის 7 თებერვალს!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი... მეორე ღღეს კვლავ გრძელდებოდა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. ჯერი ჩემზე მოდგა, რომ სიტყვით გამოვსულიყავი. იმავე ტრიბუნიდან სხვა დროსაც მომიხდა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ ახლა აუდიტორია გაცილებით დიდად მეჩვენა. თამბირის მუშაობაში მონაწილეობდა ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, და მე ვაკვირდებოდი, თუ ჩემს სიტყვას, ისევე როგორც სხვა ამხანაგების გამოსვლებს, რა ყურადღებით უსმენდა!

თამბირზე ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა სახელით სახალხო მეეცი პირობა ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, თავთავიანი კულტურების ნათესის საშუალო ფასად 22 ცენტნერი მოსავალი მაგვეღო, ყოველ 100 ჰექტარ საკარგულებზე გვეწარმოებინა 70 ცენტნერი ხორცი, 200 ცენტნერი რძე, 300 კლოგრამი მატყლი, ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 40 ათასი ცალი კვერცხი, მნიშვნელოვნად გაგვეღიდებინა აგრეთვე სამრეწველო, ყურძნის და სხვა პროდუქტების წარმოება.

ამ დაპირების შესასრულებლად ბრძოლა ჩვენი მომავალი მუშაობის პროგრამად გავიხადეთ.

და აი ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობაზე ჩამოვედი, როგორც დელეგატი, კვლავ ჩემს თავს ვაძლევ კითხვას: შევძელით თუ არა ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა ამხანაგ ხრუშჩოვისათვის მიცემული პირობა შეგვესრულებინა?

ავიღოთ თუნდაც გასული სამეურნეო წელი. როგორია ჩვენი შრომის შედეგები?

გასული, 1963 წელი მინდვრის მშრომელთა დიდი გამარჯვების წელი იყო. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 12 მილიონ 337 ათასი ფუთი მარცვალი, აქედან ხორბალი სახელმწიფოს მიეყიდა 4 მილიონ 336 ათასი ფუთი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს გულითადად მიულოცეს ეს გამარჯვება.

ჩვენ, სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრებს, კომუნისტებს, კმაყოფილების გრძნობა გვეუფლება, რადგან გიცით, რომ ამ საამაყო საქმეში ჩვენი მცირედი წვლილიც არის.

შარშან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.210 ცენტნერისა, სახელმწიფოს მივყიდეთ 37.844 ცენტნერი მარცვლეული, აქედან ხორბალი — 10.700 ცენტნერის ნაცვლად 31.850 ცენტნერი.

საამაყოა აგრეთვე იმის აღნიშვნა, რომ ჩვენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს გულითადად მიულოცეს ეს გამარჯვება.

ჩვენ, სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრებს, კომუნისტებს, კმაყოფილების გრძნობა გვეუფლება, რადგან გიცით, რომ ამ საამაყო საქმეში ჩვენი მცირედი წვლილიც არის.

შარშან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.210 ცენტნერისა, სახელმწიფოს მივყიდეთ 37.844 ცენტნერი მარცვლეული, აქედან ხორბალი — 10.700 ცენტნერის ნაცვლად 31.850 ცენტნერი.

საამაყოა აგრეთვე იმის აღნიშვნა, რომ მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავს. ამ პლენუმისათვის სათანადო შეხვედრა აგრეთვე ჩვენი კოლმეურნეობის თვითეული წევრის ღირსების საქმეა.

როგორ ვმუშაობთ მიმდინარე, 1964 წლის უხვი მოსავლის მისაღებად, როგორია ახალი სამეურნეო წლის დასაწყისი?

მარცვლეულის მეურნეობა კვლავ და კვლავ ჩვენი მთავარი ფრონტია. ამიტომ გადავწყვიტეთ გასული წლის შემოდგომაზე 478 ჰექტარით გაგვედიდებინა ხორბლის ნათესი ფართობი. ამჟამად დათესილი გვაქვს 2.505 ჰექტარი ხორბალი. თესვა ვაწარმოეთ მაღალხარისხოვნად და აგროვადებში. მთელ ფართობზე დავთესეთ მაღალმოსავლიანი ჯიში „უფბო-1“.

ამას წინათ საქართველოდან სხვა ამხანაგებთან ერთად მეც ვიყავი კრასნოდარის ოლქში. აქ ვინახულეთ საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცი“, გაკეცანით აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, სადაც ცნობილი მეცნიერი ლუკიანენკო მუშაობს. იგი გვესაუბრა „უფბო-1“ ჯიშის ხორბალზე, მის უპირატესობაზე სხვა ჯიშებთან შედარებით და გვირჩია გაგვედიდებინა თესვის ნორმაც.

ამ ბოლო ხანს ინტერნაციონალური ოჯახია ჩვენი ბრიგადა. ერთად, ღვინილი დებავით არიან მარია ეფემოვა, მაყვალა ბარათაშვილი, როზა მარტიროსიანი... აბა რომელი ერთი დავასახელო... ღღეს გამოვაკრით აბრა „მქსოველი ის კი არ არის, ვინც ქსოვს, არამედ ის, ვინც უწუნოდ მუშაობს“. ყველას მოეწონა ეს სიტყვები.

1963 წლის 23 დეკემბერი... ღღეს პარტიაში შევიდა ჩვენი ქარხნის ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი. ჩემი სიკაბუკე გამახსენდა. 1947 წელს გული არ მითმენდა 20 წლის შესრულებამდე 2 თვით ადრე შევიტანე განცხადება, პარტიაში მიმიღეთ-მეთქი. უარი მითხრეს, წესდება წესდებაოო. გავიდა ორი თვე. თითქოს მეორედ დავიბადე იმ ღღეს, პარტიის წევრობის წიგნაკი რომ ჩავაბარეს... ეს იყო 1947 წელს. თითქოს გუშინ იყ



როგორ ვიგზარდეთ

საბურთალოზე აღარ დარჩა საბურთაო ადგილი, თბილისმა ძირითადად ქალაქგარეთ გადაინაცვლა, საბურთაო კი არა, ხელისგულის ოდენა ადგილს თუ უტოვებენ საბურთალოზე ახლა ვეებერთელა სახლებს ეზოებისთვის...

ეს მაღალი ამწეები ინაცვლებენ ერთი ადგილიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ასე ამოჰყავთ მშენებლებს კედლები ხან აგურის, ხან ბლოკების...

ეს საბურთალო ხომ შენდება და შენდება... მაგრამ ახლა დიღომი და 26 კომისრის რაიონის საცხოვრებელი მასივი ნახეთ. წინათ თბილისიდან აეროდრომამდე დიდი გზა იყო. ახლა?.. ახლა თითქოს აეროდრომი ქალაქს ზედ ეკვრის. თბილისი გაიზარდა, გადიდდა, ფრთა გაშალა...

ჩვენმა მშენებლებმა გასულ წელს ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს, საექსპლოატაციოდ გადასცეს 200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამ სამუშაოს შესრულება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ 1958 წელთან შედარებით ასაწყობი რკინაბეტონის წარმოება 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო [illegible] სამშენებლო — [illegible] ლებისა, როგორიც კედლის მსხვილი ბლოკებია — 8-ჯერ.

გაივლის ათი, ოცი წელი, ჩაუვლის მშენებელი თაობის ნაგებ სახლს და სიამაყით იტყვის „ჩემი ნახელავია!“.. რა შეედრება ამას. მშენებელი სიკეთის მთესველს ჰგავს!..

დღეს ვერ ნახავთ საქართველოში ვერცერთ კუთხეს, ვერცერთ ქალაქს, რომ საბინაო მშენებლობა ერთიათად არ იყოს გაშლილი. ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ვინ იტყოდა, რომ ჩვენში ამდენ ახალსახლობას იზეიმებდნენ ოჯახები!

ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ჭიათურა, ტყიბული — რომელ კუთხეში უნდა ჩაიაროთ, რომ სარაჩოები არ მოგხვდეთ თვალში.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში სახელმწიფოს სახსრებით აშენდა 5 მილიონ 200 უთასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი. ეს ნიშნავს 145 ათას ბინას.

შენდება, მშვენდება ჩვენი ქვეყანა, რაც ოქტომბრის სხივმა საქართველოში მოაღწია, — ამდენი „იხარე, ჭერო“ და „ჩვენი მასპინძლის სასახლე...“ ჯერ არ თქმულა...

* * *

სურათზე: ახალი რვასართულიანი სახლები თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მსოფლიოს დიდ გზაზე...

თანამედროვე ქართულ საბჭოთა მწერლობას ჯეროვანი ადგილი უჭირავს ჩვენი სამშობლოს ხალხთა მრავალეროვნული ლიტერატურის დიდ ოჯახში. რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყაზახები და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხები ინტერესით კითხულობენ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს თავიანთ მშობიარ ენაზე. ქართველი საბჭოთა პროზაიკოსებისა და პოეტების ბევრი წიგნი და ცალკეული ქმნილებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია თარგმნილი.

გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსის ლევ ქიაჩელის ცნობილ რომანს „გვადი ბიგვას“ მსოფლიო სახელი აქვს მოხვეჭილი. უკანასკნელ წლებში საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის პოემები და ლექსები გამოიცა ჩეხოსლოვაკიაში. ბულგარულად, ჩინურად და პოლონურად ითარგმნა და ცალკე წიგნებად დაიბეჭდა სიმონ ჩიქოვანის რჩეული ლექსები.

ფრანგ მკითხველებში და ლიტერატურულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანმა „კოლხეთის ცისკარმა“. ამ ნაწარმოების თავიანთ მშობიურ ენაზე გაცნობის საშუალება აქვთ აგრეთვე გერმანელებს და ჩეხებს. გასულ წელს იტალიაში დაიბეჭდა მიხეილ ქვლივიძის ლექსების კრებული.

რუმინეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში ითარგმნა და დაიბეჭდა ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, ხუტა ბერულაკის და სხვა თანამედროვე ქართველი პოეტების ცალკეული ნაწარმოებები.

ეს უბრალო ჩამოთვლა ნათლად მეტყველებს, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა ყოველწლიურად ახალ მეგობრებსა და დამფასებლებს იძენს, უფრო და უფრო ფართოვდება მისი მკითხველთა აუდიტორია.

გასულ წელს ბევრმა ქართველმა მხატვრულმა კოლექტივმა და ცალკეულმა მუსიკოს-შემსრულებლებმა — მომღერლებმა, პიანისტებმა, დირიჟორებმა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ასახელეს ჩვენი ხელოვნება.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ, 1963 წელს ცეკვით „დიპჯყრო“ მეხუთე კონტინენტი — ავსტრალია. ეს სახელოვანი კოლექტივი ამჟამად ახალი საგასტროლო მოგზაურობისათვის ემზადება. მარტში ანსამბლი კონცერტებს გამართავს მოსკოვის ყრილობათა სასახლეში, ხოლო აპრილის ბოლოს ლათინური ამერიკის ქვეყნებს ეწვევა. ვენესუელაში, კოლუმბიასა და მექსიკაში ქართველი მოცეკვავეები მეორედ გამოდიან, ხოლო ბრაზილიის, არგენტინის, ჩილის, პერუს, ურუგვაის, პარაგვაის, კოსტა-რიკას, იამაიკის ხალხები პირველად ნახავენ ქართული ქორეოგრაფიის ეშხსა და სილამაზეს.

უკანასკნელ წლებში სასიხარულო წარმატებები მოიპოვა ქართულმა საფორტეპიანო სკოლამ. დიდად ასახელეს მშობლიური ხელოვნება პიანისტებმა მარინე გოგოლიძე-მდივანმა და ელისო ვირსალაძემ, რომლებიც ჰ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდნენ, გაიმარჯვეს და ლაურეატობის სპეციალური ფრდბა მიენიჭათ. მარინე გოგოლიძე-მდივანი ახლახან დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ქართველი პიანისტის კონცერტებს დიდი წარმატება ხვდა.

წელს, მაისში ქალაქ ლაიპციგში გაიმართება ბახის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული პიანისტი რუსუდან ხოჯავა.

ახლახან ლონდონში დიდი წარმატება ჰქონდა საბჭოთა ბალეტის მსახიობთა გამოსვლებს. ინგლისელი მაყურებლის წინაშე სხვა საბჭოთა მსახიობებთან ერთად თავი ისახელეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მოცეკვავეებმა, ქართული ხალხური ცეკვის „ქისტაურის“ ვირტუოზულმა შემსრულებლებმა მარინე გოგიჩაიშვილმა და გივი ტაბახმელაშვილმა.

ქართული ეროვნული კულტურის წარმატების ეს ფაქტიური მაჩვენებლები თვალნათლივ დასტურებენ, თუ როგორ განუხრელად ვითარდება და იზრდება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქართული ლიტერატურა და ხელოვნება.

კინომოყვარულთა წრე

ბევრგან იქმნება კინომოყვარულთა წრეები. ეს მარტო უბრალო გატაცება როდია. კინომოყვარულები ხშირად იღებენ ჩვენი ყოფის ამსახველ საინტერესო მოკლემეტრაჟიან ფილმებს.

ახლახან ზესტაფონის მასწავლებლის სახლთან შეიქმნა კინომოყვარულთა წრე, სადაც გაერთიანებულია 25 კაცი. წრეს გამოცდილი კინოოპერატორი ხელმძღვანელობს.

ა. ფოცხვერაშვილი.

„ზაპოროჟეცი“—30 კაპიკად

ზესტაფონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში სოფელ ქვედა საქარის მცხოვრებმა შ. ქათამაძემ წარადგინა ფულისა და ნივთების ლატარიის 1963 წლის მეცხრე გამოშვების 24640 სერიის № 263 ბილეთი, რომელმაც მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

მ. ბერაძე.

მუშეგი უმაღლესი განათლებით

ოთხი წელია ტყვარჩელში მუშაობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საყრდენ-სასწავლო პუნქტი. სამთო ფაკულტეტის ოთხივე კურსზე მრავალი ტყვარჩელელი ახალგაზრდა დაუსწრებლად იძენს უმაღლეს ტექნიკურ განათლებას. ტყვარჩელის პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი მ. კაჭარავა სამთო ფაკულტეტის მეოთხე კურსზე წარმატებით სწავლობს, № 5 შახტის მოწინავე ზეინკალი ვაჟა სახვაძე მესამე კურსზეა; სხვადასხვა კურსებზე ირიცხებიან ქალაქის საწარმოთა მოწინავე ახალგაზრდები კ. კამბურიდი, ა. ხასაია და სხვ.

ჯ. ბარეკაია.

კარგი საჩუქარი

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამ დღეებში შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ხაჩიჭარელ კოლმეურნეთა შვილებმა. სოფლის ცენტრში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლის ახალი, კაპიტალური შენობა. რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები ახალ საკლასო ოთახებში მიუსხდნენ მერხებს.

სკოლას აქვს ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის კაბინეტები. მალე მოეწყობა სპორტული სახელოსნო.

ჩინეთმა და საფრანგეთმა

დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა

პარიზი, 27 იანვარი. (საკ-დეს). დღეს აქ გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე იმის შესახებ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა საფრანგეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. ამ მიზნით საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები შეთანხმდნენ დანიშნონ ელჩები სამი თვის განმავლობაში.

* * *

„პროგრესულ საზოგადოებრიობას მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება არის ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განმტკიცებას. ამ გადაწყვეტილებას მოიწონებს ყველა, ვინც მხარს უჭერს სახელმწიფოთა თანამშრომლობას მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

წინათ დე გოლის მთავრობა უარს ამბობდა დაემყარებინა ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სისტემატურად უშლიდა ხელს იმას, რომ სახალხო ჩინეთს დაკავებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის. ახლა დე გოლის მთავრობამ შეცვალა თავისი კური და მიიღო გონივრული გადაწყვეტილება. რომელიც, აქვე უნდა ითქვას, შეერთებული შტატების უკმაყოფილებას იწვევს.

დე გოლის მთავრობამ, რომელსაც ესმის, რომ ადრე თუ გვიან გარდუვალი იქნება სახალხო ჩინეთის აღიარება, გადაწყვიტა ამ ფაქტიდან უმეტესი ეფექტი მიიღოს როგორც საგარეო პოლიტიკის დარგში, ისე ქვეყნის შიგნით. მას მიაჩნია, რომ ასეთი აქტი აამაღლებს საფრანგეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს მნიშვნელობას მსოფლიოში. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობა საფრანგეთს ხელს შეუწყობს განახორციელოს „აქტიური პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“. ქვეყნის შიგნით, მთავრობას იმედი აქვს, რომ გაძლიერდება დე გოლის ავტორიტეტი.

საფრანგეთის მთავრობაზე ზემოქმედებას ახდენდნენ საქმიანი წრეები, რომლებიც დაინტერესებული არიან გააფართოონ საფრანგეთის ექსპორტი, აწარმოონ ვაჭრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ხაზს უსვამს საფრანგეთის კომპარტიის ყოველკვირეული „ფრანს ნუველი“.

საზღვარგარეთის პრესა ბევრს წერდა იმაზე, რომ დე გოლი, რომელმაც გადაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ამით ცხადყოფს, რომ არ სურს დაემორჩილოს ჩილოს შეერთებული შტატების ზეგავლენას, რომლებმაც ბევრი უსიამოვნება მიაყენეს იმის გამო, რომ დე გოლი ესწრაფვის განახორციელოს საფრანგეთის „სიდიადის პოლიტიკა“, შექმნას დამოუკიდებელი ატომური „დამკვრელი ძალები“, გადაქცეოს „საერთო ბაზარი“ კარდახშულ პოლიტიკურ-ეკონომიურ დაჯგუფებად, სადაც საფრანგეთი შეასრულებს წამყვან როლს. განსაკუთრებით გამწვავდა საფრანგეთ-ამერიკის წინააღმდეგობანი მას შემდეგ, რაც დე გოლმა უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს ნატოს მრავალმხრივ ატომურ ძალებში, რომლის შექმნასაც შეერთებული შტატები გეგმავენ.

საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის მოხდა ნოტების გაცვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობის საკითხზე და რომ ამაო აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების ცდა ზეგავლენა მოეხდინათ დე გოლზე.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 28 იანვარი. (საკდეს). დღეს სსრ კავშირის წარმომადგენელმა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში ს. კ. ცარაპკინმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმის ტექსტი გამალებული შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ. ამის შემდეგ ს. კ. ცარაპკინი შეეხო საბჭოთა მთავრობის მემორანდუმის მთელ რიგ დებულებებს.

მდგომარეობა კვიპროსზე

ნიკოზია, 28 იანვარი. (საკდეს). კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა უპასუხა პრესის წარმომადგენელთა კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაა ახლა კუნძულზე და რა პერსპექტივაა „კვიპროსის პრობლემის“ გადასაჭრელად და განაცხადა: „სავსებით დარწმუნებთ, როდი შემძლია ვიწინასწარმეტყველო, თუ როგორ განვითარდება შემდგომ ამბები. მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ მტკიცედ გვიკვლ გადაწყვეტილი მამაცურად შევხვდეთ ამ ამბების ყოველნაირ განვითარებას. არავის არ მივცემთ უფლებას დაგვაშინოს და შანტაჟი მოგვიწყოს. ჩვენ ვიბრძოლებთ ყოველგვარი მტრული განზრახვის წინააღმდეგ ჩვენი კუნძულის მიმართ. ჩვენი ბრძოლა ეს არის ბრძოლა ჩვენი ღირსებისათვის, ჩვენი კუნძულის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობისათვის. კვიპროსის ხალხმა იცის, რომ ამ ბრძოლაში იგი მარტო არ არის. ეჰვი არ გვეპარება, რომ მხარს დაგვიჭერენ სხვა ქვეყნებიც“.

ნიკოზია, 28 იანვარი. (საკდეს). გუშინ კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა არაუზოსმა მიიწვია სსრ კავშირის ელჩი კვიპროსში პ. კ. ერმოშინი და მთავრობის სახელით აცნობა, თუ რა ვითარება შეიქმნა რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ნატოს შეიარაღებული ჩარევის გეგმებთან დაკავშირებით.

თურქეთის ხომალდები—კვიპროსის ნაპირებთან

ლონდონი, 28 იანვარი. (საკდესი). ხომალდები, რომლებზეც არიან თურქეთის არმიის ნაწილები, კვლავ გამოჩნდნენ კვიპროსის ჩრდილოეთ ნაპირებთან, ათენიდან იუწყება რეიტერის საგაზეთო კორესპონდენტი, რომელიც ავტორიტეტულ წყაროს იმოწმებს.

„ბუნებრივია, — იუწყებიან იმავე წყაროს დამოწმებით, — რომ ასეთ ვითარებაში საბერძნეთის მთავრობამ მიიღო როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო ხასიათის შესაბამისი ღონისძიებანი“.

3. ნიკოლაევა—ტერეშკოვა ინგლისში მიიწვიეს

ლონდონი, 28 იანვარი. (საკდესი). გუშინ ინგლისის საკალათბურთაშორისო მიმოსვლის საზოგადოებამ გამოაცხადა, რომ მან ლონდონში მიიწვია მსოფლიოს პირველი ჩემპიონობისკენ ასპირანტი ოთხი ქალი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, რომ მას 5 თებერვალს საზოგადოების სხდომაზე ლონდონში გადასცემს საზოგადოების ოქროს medalს.

ბოლოვანისტი პოლიტიკა

თბილისი—რეიკიავიკი

გროსმაისტერები ტურნირის სათავეში

გუშინ დილით მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა ტელეფონით გვაცნობა:

ბასტინნასისა და ბევერვიკის საახალწლო ტურნირებით ჭადრაკის ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა. ახლა რიგი რეიკიავიკზე მიდგა, სადაც გამოჩენილ გროსმაისტერებსა და ოსტატებს ძლიერი იერიში მიაქვთ ფინიშზე.

მართალია, აქ ჯერ კიდევ წინ არის დასაკვნილი ტურები, მაგრამ უკვე გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ გროსმაისტერებს ტალს, ბლეგორიჩსა და ოლაფსონს განზრახული აქვთ პირველი სამი ადგილი არავის დაუთმონ.

გადადებული პარტიების დამთავრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისლანდიელ გროსმაისტერ ოლაფსონისათვის, მაგრამ აშკარად მან სასურველი შედეგს ვერ მიაღწია, ორი გადადებული პარტიიდან მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლო. ბლეგორიჩთან ოლაფსონს უარესი პოზიცია ჰქონდა, მან ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და დამარცხდა. იოჰანესენ-იოჰანსონის პარტიის დამთავრება არ შემდგარა, რადგან ისლანდიელი ოსტატი იოჰანსონი გამოტოვებულ პარტიას თამაშობდა თანამემამულე ბიორნსონთან.

მეათე ტურის წინ ტალს 8,5 ქულა აქვს, ბლეგორიჩს — 8 ქულა, ოლაფსონს — 7,5 ქულა, იოჰანესენს — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, იოჰანსონს — 4 ქულა და 2 გადადებული პარტია, გაფრინდაშვილს, ვეიდსა და პალმარსონს — თოხ-თოხი ქულა, ასმუნდსონს, სოლმუნდარსონსა და ტორბერგსონს — სამ-სამი ქულა, ბიორსონს — 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გუნდუფსონს — 2,5 ქულა, კრისტონსონს — 1,5 ქულა.

გუშინ გვიან ღამით შედგა მეათე ტური. თამაშობდნენ: ბორსონი — გუნდუფსონი, ტორბერგსონი — ტალი, გაფრინდაშვილი — პალმარსონი, ოლაფსონი — ვეიდი, ასმუნდსონი — კრისტონსონი, იოჰანესენი — გლეგორიჩი, იოჰანსონი — სოლმუნდარსონი.

ნ. გაფრინდაშვილი—სპორტის დამსახურებული ოსტატი

დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში თბილისელი სტუდენტი ნონა გაფრინდაშვილი.

1962 წელს ნ. გაფრინდაშვილმა მოუგო მატჩი ელისაბედ ბიკოვას და მსოფლიოს ჩემპიონის მედალი მოიპოვა. 1963 წლის დადგეს ქართველი სპორტსმენი მეთაურობდა საბჭოთა გუნდს, რომელიც ქალთა მეორე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

დღეს სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ნონა გაფრინდაშვილს მიანიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. (საკდესი).

ფინალები და შედეგები

ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა უძლიერესი კოლექტივები განაგრძობენ პაექრობას კიევში, ტალინსა და ბაქოში.

წარუმატებლად გამდიდის ბაქოში თბილისის „ბურევესტნიკი“, რომელმაც ორი დამარცხება განიცადა. მეორე მატჩი თბილისელებმა წაიგეს ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ 42:74. ტალინში პირველი ქულა ჩაიწერეს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელმა ქალებმა. მათ მოუგეს კუნძასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს 48:41.

კიევი. 28 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს გაიმართა მესამე ტურის მატჩები კალათბურთში. აი მათი შედეგები: „დინამო“ (თბილისი)-ლენინგრადის სკა 88:74, „ფალგირისი“-ვეფი 54:73, „სპარტაკი“ (მინსკი)-„დინამო“ (მოსკოვი) 76:80, „კალევი“-სკა (კიევი) 56:62, „სტროიტელი“-„სპარტაკი“ (ლენინგრადი) 71:53.

ინსბრუკში



სპორტული სამყაროს შეუნელებელი ინტერესით მოელის ზამთრის IX ოლიმპიადას, მისი საზეიმო გახსნის ცერემონიალს, ოლიმპიადაში ჩრდილდნის აგიზგიზებას, პირველ სტარტსა და შედეგებს, ბრძოლას ოქროს medalებისთვის.

და აი დღეს ინსბრუკში ოცდაჩვიდმეტი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ თეთრი ოლიმპიადის გახსნის ვრანდიოზულ დღესასწაულში. ამავე დღეს შედგება ჰოკეისტთა ასპარეზობა და წყვილთა ასპარეზობა ფიგურულ ცეკვაობაში.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ უკანასკნელ ორ ოლიმპიადაში ჩვენმა სპორტსმენებმა როგორც medalებით, ისე შეგროვებული ქულებით პირველი ადგილები დაიკავეს. მაგალითად, მერვე ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებმა 21 medali მოიპოვეს შეძლეს, ამერიკელებმა კი მხოლოდ 10 medali მოიპოვეს.

74 სპორტსმენი დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას, მათ შორის არიან ე. გრიშინი, ა. კოლჩინა, ლ. სკობლიკოვა, კ. წაქაძე და სხვ.

მართალია, ოლიმპიადა ჯერ არ გახსნილა, მაგრამ ჰოკეისტები უკვე ჩაებნენ ბრძოლაში. მაგალითად, კანადელებმა დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი 14:1 და ფინალურ ჯგუფში გავიდნენ.

ეკრანის სიახლენი

კინოფილმების გამქირავებელი რესპუბლიკური კანტორა ოთხშაბათიდან, 29 იანვრიდან, აწყობს ახალი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენებას.

„მშობლიური სისხლი“, რომელიც „ლენფილმის“ კინოსტუდიაში შეიქმნა, მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანის ჰუმანიზმზე. სურათი შეგიძლიათ ნახოთ კინოთეატრებში: რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, ყაზბეგი (I დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი.

ლიტვური ფილმი „კანონადა“ გვიამბობს, თუ როგორ ეწყობა ახალი ცხოვრება ომით გადახნულ მიწაზე. (კინოთეატრი „თანამგზავრი“).

კინოთეატრ „ქრონიკაში“ ნაჩვენები იქნება ახალი ქართული ფერადი დოკუმენტური ფილმები: **„ბეიზერების ქვეყანაში“.** ფილმის ავტორი და ოპერატორია გიორგი ასათიანი. ფილმში ნაჩვენებია საქართველოს ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები ახალ ზელანდიაში.



„შოთა რუსთაველი ატლანტიკაში“ — ასე ჰქვია მეორე დოკუმენტურ ფილმს. იგი მოგვითხრობს საქართველოს თეატრმცოდნეთა შრომითს დღეებზე შორეულ ზღვებში.

* * *

სურათებზე: (ზემოთ) კადრი ფილმიდან „მშობლიური სისხლი“. (მარცხნივ) კადრი ფილმიდან „კანონადა“.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

29 იანვარი

რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — ვახტანგის წინ (მე-7 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე ვხედავ მზეს (მე-16 აბონ. მე-2 წარმ.), **გრიბოედოვის სახელობის** — საჭირო მატყუარა (მე-11 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **სანკულტურის** — საამო საზრუნავი (მე-12 აბონ.), **თოჯინების ქართული** — ფიფქიას სკოლა (დილის 10 ს., კომბლე (დღეს 2 ს.).

კინო

29 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), — **მშობლიური სისხლი,** თბილისი, კიროვის სახელობის ბარკი — **სამალავი ელბაზე,** კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კოსმოსი, ნაკადული — **სახლი მწვანეზე,** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, გაზთხელი, კოლმეურნე — **ოვითმფრინავები არ დაშვებულან,** საქართველო (მწვანე დარბაზი) — **რუმიანცევის საქმე,** ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ეკას ეძინება,** თანამგზავრი — **კანონადა.**

ტელევიზია

29 იანვარი

18.00 — მოსწავლეები — პარტიის ყრილობას“, 18.25 — მოსწავლეთათვის — „პიონერხელმძღვანელთა დასახმარებლად“, 18.40 — მშობელთა უნივერსიტეტი, 19.00 — კინონარკვევი — „სოფლის თეატრი“, 19.10 — სიუბარი „მანქანებით სწავლება“, 19.20 — კინონარკვევი — „სასურველი სტუმრები“, 19.40 — ლიტერატურული გადაცემა, 20.10 — კინონარკვევი, 20.20 — კონცერტი ყრილობის დელეგატთა დასაკვეთით, 20.55 — მხატვრული ფილმი — „შეიაკოკონა“. ფილმის შემდეგ — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

პირველი პროგრამით

რადიო

30 იანვარი

06.35 — ქართველ კომპოზიტორთა საავიოლინო პიესები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — გრიგოს სოროკინსტრო სიუიტა „პერ გიუნტი“, 11.15 — კონცერტი-სიუბარი: „ლიდოვი“, 12.10 — სიუბარი — „ქიმია ყოფაცხოვრებაში“, 12.25 — ნაწყვეტები დ. თორაძის ოპერიდან „ჩრდილოეთის პატარძალი“, 13.40 — სიმხური სიმღერები, 17.15 ქართული საპატერეტო მუსიკა, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „კომკავშირელი აქტივისტები“, 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — პროკოფიევი. ხუთი მელოდია ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის, 19.30 — სიუბარი „ლენინური გაწვევა პარტიაში“, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — ძველისპირული, 20.30 — ა. მაჩავარიანი. ორატორია „ჩემი სამშობლოს დღე“, 21.10 — რადიოდადგმა თ. დონეაშვილის რომანისა „ალაზანზე“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

კომუნისტი KOMUNISTI ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘ.ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 14.

ᲪᲔ 01044